გაზეთი ბეჭრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№13 (1555) 28 აპრილი 4 მაისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ჯახი ჯავსაძე 85 წლის ასაკში გარდაიცვალა



გაზეთი „ვერსია" და საინფორმაციო სააგენტო „ჰოთნიუსი" სამძიმარს უცხადებს მსახიობის ოჯახს და უთანაგრძნობს მთელ საქართველოს.

გიორგი ვაშაძე: „შემოვა ნაცმოძრაობა პარლამენტში"

რითი ხსნის პატიმრობაში მყოფ ნიკა მელიასთან არშეხვედრას და რატომ მოაწერა შეთანხმებაზე ხელი „სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერმა

86 ხმით 6-ის წინააღმდეგ – კახა კუჭავა პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს

პრეზიდენტმა გიორგი რურუა შეიწყალა

მკვლელობა რუსთავში – ახალგაზრდა ქალს თავის ქალა ქვით ჩაუმტვრიეს

რა ჩვენება მისცა მოკლულის არასრულწლოვანმა შვილმა გამოძიებას

საქართველოს მთავრობა რეგიონების განახლების მასშტაბურ პროექტს იწყებს

500 მილიონი ლარი და 15 000 ახალი სამუშაო ადგილი 63 მუნიციპალიტეტში!

შეიძლება თუ არა ცოფზე აცრის შემდეგ კორონას საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება

რატომ არის ძაღლისა და კატის ნაკბენზე საშიში კურდღლის ნაკბენი – ექიმის განმარტებები

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

საგანგაშო სტატისტიკა განათლების სისტემაში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რატომ დაინტერესდნენ სახელმწიფო აუდიტორები პედაგოგთა პროფესიული განვითარებით

სახელმწიფო აუდიტის სამსახურo მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტიანობით დაინტერესდა. აუდიტი, რომელიც უწყებამ გამოაქვეყნა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერული წინსვლისთვის განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობასა და ეფექტიანობას ეხება. საქართველოს მთავრობის ხედვა განათლებასთან მიმართებაში, ისეთი სისტემის განვითარებას გულისხმობს, რომელიც ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი მოქალაქეების აღზრდას გულისხმობს. სწორედ მათ უნდა შეიტანონ საკუთარი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა, ხოლო მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მათ კვალიფიკაციაზე ზრუნვა – სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პირდაპირპროპორციულია. ამ მიზნის მისაღწევად, 2015 წელს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა დაიგეგმა, რომელსაც სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ მართავს.

აუდიტის მიზანი

ერთი შეხედვით, აუდიტის მიზანი ნათელია და შესაბამისად, კითხვის ნიშნებიც არ ჩნდება, თუ რატომ დაინტერესდნენ სახელმწიფო აუდიტორები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტიანობით. ზოგადად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემის უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა, ხოლო განათლების რეფორმის ერთ-ერთ მიზანს მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობის შეთავაზება წარმოადგენს.

სკოლებში სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წელს, სახელმწიფომ მასწავლებლის პროფესიის მართვის მექანიზმი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა შეიმუშავა. ეს სქემა გულისხმობს მასწავლებლების კვალიფიკაცის უწყვეტ განვითარებაზე ზრუნვას, ხოლო მათი გადამზადებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით კი, შესაბამისი ტრენინგების შეთავაზებას.

„მიუხედავად ცვლილებებისა, მთელი რიგი საკითხები მაინც გამოწვევად რჩება. ასე მაგალითად, სქემის ფარგლებში, 2015 წლიდან 2020 წლამდე, მასწავლებელთა 21%-ს სტატუსი არ შეუცვლია და განსაზღვრული საბაზისო საფეხურის შესაბამისად – პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელია. 2017-2019 წლების მონაცემების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით, წამყვანი მასწავლებელი, საშუალოდ, მხოლოდ 2%-ია, რომლებიც დასაქმებულნი არიან არსებული სკოლების 25%-ში! რაც შეეხება უმაღლეს საფეხურს – მენტორს, ასეთი სტატუსის მქონე მასწავლებელი განათლების სისტემაში მხოლოდ 0.4%-ია“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ამ არც ისე სახარბიელო სტატისტიკის პარალელურად, 2017-2019 წლებში, კომპეტენციის დამადასტურებელი პროფესიული გამოცდა მასწავლებლების დიდმა ნაწილმა მინიმალური ბარიერით გადალახა. მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად წელიწადში, საშუალოდ, 11 000 000 ლარი იხარჯება.

აუდიტის მიზანია, შეაფასოს სამინისტროსა და ცენტრის მიერ, სწორედ სქემის ფარგლებში, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერული წინსვლისთვის განხორციელებული აქტივობების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

ძირითადი დარღვევები

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მინიმალური საგამოცდო ბარიერი, პედაგოგთა მხოლოდ 30%-მა გადალახა. ეს კი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთაშორისო პრაქტიკას, რომლითაც, ეს მაჩვენებელი, საშუალოდ, 70%-ია. 2017-2019 წლებში, საგნობრივი მიმართულების გამოცდაზე, მინიმალური შედეგი აჩვენა მასწავლებლების 25%-მა, ხოლო პროფესიული უნარების მიმართულებით – 27%-მა. აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სქემით განსაზღვრული მაქსიმალური შედეგი (60% და უფრო მაღალი), ერთდროულად, როგორც საგნობრივი, ასევე, პროფესიული უნარების გამოცდაში, მასწავლებლების მხოლოდ 1.5%-მა დააფიქსირა. 2020 წლიდან, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საგნობრივი გამოცდის შემთხვევაში, 50%-მდე გაიზარდა.

„სქემის ფარგლებში, 2020 წლიდან, პროფესიული უნარების დამადასტურებელ გამოცდაში გადასალახი მინიმალური ზღვარი განსაზღვრული არაა. ამასთან, მიუხედავად მასწავლებლების მიერ გამოცდაზე მიღებული დაბალი შედეგებისა, გაიზარდა იმ მასწავლებლების რიცხვი, რომლებმაც მომდევნო კარიერულ საფეხურზე გადაინაცვლეს“.

2020 წლიდან, უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის, ტრენინგების გასავლელად სავალდებულო საათების რაოდენობა განისაზღვრა, თუმცა სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, იდენტიფიცირებული არ ყოფილა დარგებისა და კარიერული საფეხურების მიხედვით სავალდებულო და არჩევითი ტრენინგ-მოდულები. გარდა ამისა, მასწავლებელთა გადამზადების ეტაპობრივი და თანმიმდევრული გეგმა არ შეუმუშავებიათ.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ საპენსიო ასაკს მიღწეულ მასწავლებლებს, რომლებმაც 2019 წელს, შესაბამისი აქტივობების განხორციელების გზით, კომდევნო კარიერულ საფეხურზე ვერ გადაინაცვლეს, რის გამოც პედაგოგიური საქმიანობა უნდა შეეწყვიტათ, მთავრობის დადგენილებით, საშუალება მიეცათ, სახელმწიფო ფულადი ჯილდო მიეღოთ იმ შემთხვევაში, თუ სისტემიდან გავიდოდნენ. ამ მიზნით, 2019-2020 სასწავლო წლებში, სამინისტრომ 75 500 000 ლარი გახარჯა.

მეტიც, აუდიტის პერიოდში, ცენტრმა სათანადოდ არ შეისწავლა და არ შეაფასა პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებელთა მხრიდან განხორციელებული აქტივობების შესრულების შედეგები. შესაბამისად, მასწავლებლების უმრავლესობა ვერ ასრულებდა სქემით განსაზღვრულ, როგორც სავალდებულო, ასევე, დამატებითი სამუშაოების 40%-ს.

აუდიტის შედეგად გამოვლენილ გარემოებებსა და ნაკლოვანებებზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შესაბამისი რეკომენდაციები გასცა, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია, სისტემის ფუნქციონირება გაუმჯობესდეს:

„მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და ტრენინგებზე მიმართული ფინანსური რესურსის პროდუქტიულად ხარჯვის მიზნით, მასწავლებლის სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ტრენინგების გასავლელად, სქემით დადგენილი წლიური სავალდებულო საათების ფარგლებში, უნდა შეფასდეს და შესაბამისად გაიწეროს ცალკეული დარგისა და კარიერული საფეხურის მიხედვით სავალდებულო და არჩევითი ტრენინგ-მოდულები; განისაზღვროს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამიმდევრულად, პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მასწავლებელთა სრული კონტინგენტის გადამზადებას კონკრეტულ ვადებში; მიზანშეწონილია, შემუშავდეს სისტემატიზებული დოკუმენტი, სადაც განისაზღვრება მათი მიღწევის კონკრეტული მექანიზმები, საჭირო რესურსები და შესაბამისი შეფასების ინდიკატორები; ცვლილების საფუძველზე, ახალი მექანიზმების დანერგვისას, უზრუნველყოფილ იქნეს მათი სქემის მიზნებთან შესაბამისობა; სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ფინანსური სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული ხარჯვის პრინციპების გათვალისწინებით, შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომლითაც სისტემაში მხოლოდ იმ კადრებს შეინარჩუნებენ, რომლებიც დადგენილ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებენ და კვალიფიციური კადრების მოზიდვასაც უწყობენ ხელს“.

86 ხმით 6-ის წინააღმდეგ - კახა კუჭავა პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს

პრეზიდენტმა გიორგი რურუა შეიწყალა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

27 აპრილი საქართველოს საპარლამენტო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დღეა - ექვსთვიანი ბოიკოტის შემდეგ, საკანონმდებლო ორგანოში, ოპოზიციის მონაწილეობით, პირველი პლენარული სხდომა გაიმართა. სხდომას დაესწრნენ იმ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერ შეთავაზებულ დოკუმენტს - მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებას ხელი მოაწერა. ეს დეპუტატები არიან: გიორგი ვაშაძე, ხათუნა სამნიძე, ზურაბ ჯაფარიძე, პაატა მანჯგალაძე, სალომე სამადაშვილი, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე, ვახტანგ მეგრელიშვილი, დავით უსუფაშვილი, არმაზ ახვლედიანი, ანა ნაცვლიშვილი, იაგო ხვიჩია, თეონა აქუბარდია. საგულისხმოა, რომ შეთანხმების დოკუმენტს ხელს არ აწერს ბარიერგადალახული სამი პარტია - ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო და ლეიბორისტული პარტია. აქედან გამომდინარე, ისინი საპარლამენტო ცხოვრებას, ამ ეტაპზე, არ უერთდებიან. პლენარულ სხდომაზე რეგისტრაცია 107-მა დეპუტატმა გაიარა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, კახა კუჭავა, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე აირჩიეს. კუჭავას კანდიდატურას მხარი 86-მა დეპუტატმა დაუჭირა, ექვსი კი წინააღმდეგი იყო. კენჭისყრამდე კუჭავამ პარლამენტს სიტყვით მიმართა.

კახა კუჭავამ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს, დაიცვას ბალანსი და ხელს შეუწყობს პარლამენტში დემოკრატიულ პროცესების განვითარებას.

„სიმბოლურია, რომ პარლამენტის ახალი თავმჯდომარის არჩევა სწორედ იმ დღეს დაემთხვა, როდესაც რამდენიმეთვიანი, მე ვიტყოდი, ხელოვნური შეფერხების შემდეგ, დღეს, ოპოზიციის რამდენიმე პარტიის წარმომადგენელი შემოუერთდა საპარლამენტო საქმიანობას. ყველას დიდი მადლობა, ვინც იზრუნა იმისთვის, რომ საპარლამენტო ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში ჩამდგარიყო. მჯერა, რომ დღეს, აქ, ყველანი გამარჯვებულები ვართ, რაც მთავარია, გამარჯვებულია ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი. ამიტომ, ამ ტრიბუნასთან დგომა ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს და მაძლევს იმედს, რომ პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში წარიმართება ცივილიზებულად ისე, როგორც თითოეულ ჩვენგანი, ჩვენი საზოგადოება იმსახურებს ამას...

იმედი მაქვს, ჩვენ კიდევ შემოგვიერთდებიან კოლეგები, რომლებიც, სამწუხაროდ, დღეს არ ესწრებიან სხდომას, მაგრამ მოახერხებენ და დაძლევენ ვიწროპარტიულ ინტერესებს, პატივს სცემენ ამომრჩეველს და პოლიტიკურად სწორ ნაბიჯს გადადგამენ, საპარლამენტო საქმიანობაში საკუთარი წვლილის შესატანად“, - განაცხადა კუჭავამ.

ცნობისთვის: 24 აპრილს, არჩილ თალაკვაძე პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა.

27 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტმა, შეთანხმებისამებრ, გიორგი რურუას შეწყალების აქტს მოაწერა ხელი. რამდენიმე დღის წინ, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ შეწყალების აქტს 27 აპრილს, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების პარლამენტში მისვლის შემდეგ გამოსცემდა.

რურუას შეწყალების გადაწყვეტილება პრეზიდენტმა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების რამდენიმეთვიანი პროცესის შემდეგ მიიღო.

„მივესალმები შეთანხმების პირველი ეტაპის შესრულებას! ჩემი მხრივ, შევასრულე ჩემი სიტყვა და ხელი მოვაწერე შეწყალების აქტს! ვულოცავ კახა კუჭავას პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას! ვულოცავ ყველა დეპუტატს, ვინც დღეს პირველად გამოიყენა ხალხის მიერ მინიჭებული მანდატი და შევიდა პარლამენტში! ყველას გისურვებთ წარმატებას“, - წერს პრეზიდენტი.

ცნობისთვის: გიორგი რურუა 2019 წლის 18 ნოემბერს დააკავეს. გამოძიება მას სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. სასამართლომ გიორგი რურუას ოთხწლიანი პატიმრობა მიუსაჯა და იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების ნაწილში, დამნაშავედ სცნო.

კახი კავსაძე 85 წლის ასაკში გარდაიცვალა



გენიალური ქართველი მსახიობი, კახი კავსაძე 27 აპრილს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა.

კახი კავსაძე თბილისში დაიბადა. მოგვიანებთ, მისი მშობლები საცხოვრებლად ტყიბულში გადავიდნენ. მამამისი, ლოტბარი დავით კავსაძე, 1941 წელს, მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ის წითელი არმიის 224-ე მსროლელთა ბრიგადაში მსახურობდა, როდესაც ტყვედ ჩავარდა. ქართველ ტყვეთა ბანაკში, ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელად დაინიშნა. ომის შემდეგ, 1946 წლის 10 იანვარს, საბჭოთა ხელისუფლებამ დავით კავსაძე დააპატიმრა და წაუყენა ბრალდება - სამშობლოს ღალატი, ჩადენილი სამხედრო პირის მიერ. გადაასახლეს სვერდლოვსკის ოლქში, სადაც გარდაიცვალა.

1959 წელს, კახი კავსაძემ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა და რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი გახდა. კინოში მისი დებიუტი 1950-იან წლებში შედგა.

იყო საქართველოს სახალხო არტისტი (1981 წელი), ქალაქ დუშანბეს საკავშირო კინოფესტივალის პრემიის ლაურეატი (1989 წელი).

აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული თეატრალური როლები: ადამი („ღვთაებრივი კომედია“), თავადი კოწია („გუშინდელნი“), დევდარიანი („საბრალდებო დასკვნა“), ილიკო („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), სიმონ ჩაჩავა („კავკასიური ცარცის წრე“), ლორდ ჰასტინგსი („რიჩარდ III“), კენტი („მეფე ლირი“), რასპუტინი („კვაჭი კვაჭანტირაძე“), ბატონი დევი („მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“).

2020 წლის 28 ნოემბერს, კახი კავსაძეს COVID-19 დაუდასტურდა. ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, სუნთქვის მწვავე უკმარისობით დააწვინეს და მართვით სუნთქვაზე გადაიყვანეს. კახი კავსაძე პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში გარდაიცვალა.

გაზეთი „ვერსია“ და საინფორმაციო სააგენტო „ჰოთნიუსი“ სამძიმარს უცხადებს მსახიობის ოჯახს და უთანაგრძნობს მთელ საქართველოს.

როგორ გახდა „გირჩის“ „ბიბლიური თავისუფლების“ მთავარეპისკოპოსი „ნაცმოძრაობის“ ახალი სახე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რატომ ეწინააღმდეგება სავალდებულო სამხედრო სამსახურს ნიკა ობოლაძე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი თავს მუდამ იმით იწონებდა და იწონებს, რომ ქართული ჯარი ნატო-ს სტანდარტს გაუთანაბრა, ჩააცვა, შემოსა, შეაიარაღა... რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დასაბრუნებელია, რომ საქართველოს მთავარი მისია ნატო-ში შესვლა, სამხედრო ძლიერება და ამ გზით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. 2008 წელს, საქართველო, რუსეთთან უთანასწორო ომში დამარცხდა... საინტერესოა, რამდენად შეაფასა მაშინდელმა მმართველმა პარტიამ ომის შედეგები და თუ შეაფასა, რა დასკვნები გამოიტანა... საინტერესოა, რას ფიქრობს დღეს – გვჭირდება თუ არა ძლიერი ჯარი? თუ გვჭირდება, ვინ უნდა მოიხადოს სავალდებულო სამხედრო სამსახური და თუ არ გვჭირდება, როგორ ვიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს?..

„ვერსიამ“ გაარკვია, რომ „გირჩის“ მიერ შექმნილი „ბიბლიური თავისუფლების“ მეშვეობით, სამხედრო სავალდებულო სამსახურს უკვე 40 000-მდე ახალგაზრდამ აარიდა თავი და ეს მაშინ, როცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები დასაბრუნებელი აქვს. ამასთან, ტერიტორიის მიტაცება – ბორდერიზაცია, თითქმის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს და სამხედრო თვალსაზრისით, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება გადამწყვეტად მნიშვნელოვანია.

საგულისხმოა, რომ „ბიბლიური თავისუფლების“ ყოფილი მთავარეპისკოპოსი, ნიკა ობოლაძე, ცოტა ხნის წინ, „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუერთდა და პარტიის თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ, სხვა ახალ სახეებთან ერთად, საზოგადოებას ენმ-ის ერთ-ერთ ახალ ლიდერად წარუდგინა.

„ვერსია“ დაინტერესდა, როგორ ათავსებს ახალგაზრდა პოლიტიკოსი „ბიბლიური თავისუფლებისა“ და ნაციონალური მოძრაობის კარდინალურად განსხვავებულ იდეოლოგიას სამხედრო სამსახურის საკითხთან დაკავშირებით? – გთავაზობთ ინტერვიუს ნიკა ობოლაძესთან:

– ნიკა, „ბიბლიური თავისუფლების“ მთავარეპისკოპოსი იყავით, ცოტა ხნის წინ კი ნაციონალურ მოძრაობას შეუერთდით. სამხედრო სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებით, „გირჩში“, ნაციონალური მოძრაობისგან კარდინალურად განსხვავებული იდეოლოგია გქონდათ. როგორ შეათავსეთ ყველაფერი ეს?

– არ ვიცი, იმაში რას გულისხმობთ, რომ მაშინ სხვა იდეოლოგია მქონდა და ახლა სხვა რამეს ვფიქრობ.

– „ბიბლური თავისუფლება“ ხომ იმიტომ შექმენით, რომ ახალგაზრდები სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან გაგეთავისუფლებინათ?.

– კი ბატონო, გიპასუხებთ – ეს იყო იურიდიული ფიქცია, რომ სავალდებულო საყარაულო სამსახურიდან გვეხსნა ადამიანები. ჯარის სახელით გაწვეული ადამიანების 75%-ზე მეტი, საერთოდ არ მიდიოდა თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში, არამედ, მიდიოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში. მათ არ წვრთნიდნენ, არ აიარაღებდნენ და არაფერს ასწავლიდნენ. შესაბამისად, ეს არ იყო სამხედრო სამსახური, ეს იყო საყარაულო სამსახური. ეს იყო და არის არასწორი და თუ ასე გაგრძელდება, არასწორი იქნება.

„გირჩის“ პოზიცია, როცა ვიყავი იმ პარტიაში (ვფიქრობ, რომ ახლაც ასეა), ის იყო, რომ ჩვენ გვჭირდება ჯარი, რასაც სჭირდება დაფინანსება. ჯარი უნდა იყოს კარგად დაფინანსებული, რომ შევაიარაღოთ ეს ხალხი და ვასწავლოთ იარაღის გამოყენება.

– და ამის ნაცვლად, თქვენ ადამიანებს ასწავლეთ თაღლითობა, თვალთმაქცობა და დეზერტირობა?!

– 21-ე საუკუნეში, მხოლოდ გაუწვრთნელი და ავტომატიანი ადამიანების რაოდენობა არ არის ქვეყნის უსაფრთხოების განმაპირობებელი, არამედ, ტექნოლოგიების ათვისებაა, რასაც ფული სჭირდება. მაშინ ვითხოვდით თავდაცვის სამინისტროს მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-მდე გაზრდას. ჩემი პოზიცია დღესაც ანალოგიურია, საქართველოს სჭირდება ძლიერი ჯარი, ოღონდ არა – ყარაულად მყოფი ახალგაზრდები, რომლებსაც განცდა, რომ ემსახურებიან სამშობლოს, პირიქით, უკვდებათ, რადგან ემსახურებიან ბიუროკრატიას და ამით ქვეყნის უსაფრთხოებას უფრო მეტი ზიანი ადგება.

თუ გექნებათ კითხვა ეკლესიასთან დაკავშირებით, იყო თუ არა მართებული ამ მეთოდის გამოყენება ამ საქმისთვის, გიპასუხებთ, რომ მგონი, ქრისტიანულია ის საქმე, რომელიც ემსახურება თავისუფლების იდეას და არის მართალი. შუძლებელია, ამით რაიმე ჩრდილი მიდგომოდა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, რადგან შეუძლებელია, 15-საუკუნოვან ინსტიტუციას, რომელმაც ქვეყნის განვითარებასა და გადარჩენაში უდიდესი წვლილი შეიტანა, ამით ჩრდილი მიადგეს.

ეს არც მიზანი იყო და ვერც მსგავსი შედეგი დადგებოდა. ჩვენთვის ეს იყო მხოლოდ იურიდიული ფიქცია, რითაც ვაკეთებდით სამართლიან საქმეს.

– მრავალმა ათასმა ახალგაზრდამ აარიდა თავი სავალდებულო სამხედრო სამსახურს „ბიბლიური თავისუფლების“ მეშვეობით, რაც საზოგადოების ნაწილმა აღიქვა სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად მაშინ, როცა საქართველოს დაკარგული ტერიტორიები ჯერ კიდევ დასაბრუნებელი აქვს. ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგია ხომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და საქართველოს გამთლიანებაა, რისთვისაც აუცილებელი პირობა, სწორედ გამართული სამხედრო თავდაცვისუნარიანობაა?..

– თავს არავინ არაფერს არიდებს.

– როგორ არ არიდებს, იურიდიულად, ეს სამხედრო სავალდებულო სამსახურია?!

– ეს არ არის სამხედრო სამსახური, ეს არის საყარაულო სამსახური. უფრო ღრმად რომ შევიდეთ საკითხში, გეტყვით, 2007 წელს, ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი მილიარდი დოლარი იყო, 2021 წელს კი სამჯერაა შემცირებული. ბოლო 10 წელია, ეს ფული ჯარში მხოლოდ კვებაზე, ადმინისტრაციულ ხარჯებზე იხარჯება და არა – იარაღის შეძენასა და ჯარის აღმშენებლობაზე.

ამ ფონზე, როცა საკონტრაქტო ჯარიც კი არ გაგვიწვრთვნია, არ შეგვიარაღებია და პოლიტიკური ნება, რომ რეალურად, ჯარმა არ იარსებოს, ახალგაზრდა რომ მიატოვებს სახლს, სამსახურს და უბრალოდ, ყარაულად იდგება რომელიმე ადმინისტრაციული შენობის დარაჯად, ამის თქმა არაა სწორი.

თუ იმაზე საუბრობთ, ახალგაზრდებში როგორი სულისკვეთება იქნება და მორალურად რამდენად სწორია ყველაფერი ეს, მორალურად გაცილებით დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას ის მდგომარეობა, როცა ახალგაზრდები კარგავენ დროს, ენერგიას და ცხოვრებას იმისთვის, რომ მოემსახურონ მხოლოდ ბიუროკრატიას. ეს მათ სამშობლოს სიყვარულს არ ასწავლის. ჩვენ გვჭირდება ძლიერი ჯარი, რასაც სჭირდება დაფინანსება. გასაგებია, რომ ვართ საომარ ვითარებაში და საუბარია თავდაცვით ომზე, ამიტომ ჩვენი ჯარის ფუნქცია უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი სიძლიერე, რათა მტერი არ დაგვესხას თავს, ამისთვის გვჭირდება იარაღი და ფული.

– თქვენ რა პრობლემებზეც საუბრობთ, ამის მოსაგვარებლად რამდენად სწორი გზაა ის, რასაც „ბიბლიური თავისუფლება“ აკეთებს?! ხომ შეგეძლოთ, პროტესტის სხვა ფორმა გამოგეძებნათ, თუნდაც ჯარის დაფინანსების გაზრდის მოთხოვნით? ამის მაგივრად, განცდა გაუჩინეთ ახალგაზრდებს, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური საჭირო არ არის...

– საქართველოსთვის საჭიროა ქვეყნის სიყვარული. შეგიძლია, ქვეყანას ემსახურო სამხედრო სამსახურით, ან რაიმე სხვა საქმით, რომელიც უფრო ღირებული იქნება, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკაში და ეს ქვეყანა გახდება უფრო უსაფრთხო.

ჩვენ რომ ახლა, პირობითად გავიწვიოთ ყველა ახალგაზრდა და თუნდაც, არაახალგაზრდა ჯარში და ვაქციოთ ყარაულებად, ეს ხომ ქვეყანას არაფერს მოუტანს? ჰოდა, მაშინ რატომ ვთვლით, რომ 20 000 კაცის გაწვევა და უშინაარსოდ, ყარაულად დგომა პოსტებზე, რამეს მოუტანს ქვეყანას? მაშინ ყველა გავიწვიოთ და უსაქმურად ვამყოფოთ, ეს კარგს არაფერს მოიტანს, ამიტომ გონიერი პოლიტიკაა საჭირო, რაც იმას გულისმხობს, რომ ჯარი უნდა გაძლიერდეს, პირველ რიგში, საკონტრაქტო სამსახურით. თუ შემდეგ გადავალთ იმ ეტაპზე, როგორზეცაა, მაგალითად, ისრაელი, სადაც საკონტრაქტო ჯარი კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილია. შემდეგ თუ იმდენი ფული დარჩება, რომ გვყავდეს რეზერვი და გვქონდეს სავალდებულო სამსახური, მერე უნდა გავხსნათ დისკუსია – გვინდა თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახური, მაგრამ დღეს იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური გვქონდეს.

– კი, მაგრამ ისრაელის ეკონომიკური განვითარების დონეს საქართველო ვერც შეედრება და სწორედ იმიტომ, რომ გაცილებით ნაკლები ფინანსური რესურსი გვაქვს, მნიშვნელოვნად გადამწყვეტი ხომ არაა, სავალდებულო გაწვევა გვქონდეს?

– არა. მაგალითად, ხარაგაულის რაიონის საკრებულოს წინ, ერთი ადამიანი იდგება ყარაულად თუ შვიდი, ამას ქვეყნის უსაფრთხოებასთან აქვს რაიმე კავშირი?

– ნიკა, იმას ამბობთ, რომ ჯარში გაწვეულთა 100% დარაჯად დგას?

– არა, მაგრამ გაწვეულთა 80%-ზე მეტს არ წვრთნიან და არ აიარაღებენ. უამრავი ადამიანია მზად, იმსახუროს საკონტრაქტო ჯარში ანაზღაურების საფასურად, დახარჯოს დრო, გაწიროს სიცოცხლე და გააკეთოს თავისი საქმე პროფესიონალურად.

– ე.ი. რჩებით იმავე პოზიციაზე, რაც „ბიბლიურ თავისუფლებაში“ გქონდათ.

– დიახ.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს მთავრობა რეგიონების განახლების მასშტაბურ პროექტს იწყებს

500 მილიონი ლარი და 15 000 ახალი სამუშაო ადგილი 63 მუნიციპალიტეტში!

საქართველოს მთავრობა ქვეყნის მასშტაბურ განახლებას იწყებს. ესაა რეგიონების განახლების მასშტაბური პროექტი, რისთვისაც 500 მილიონი ლარია განსაზღვრული. პროგრამა საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის ურბანულ განახლებას, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას, ასევე, რეკრეაციული სივრცეების მოწყობას გულისხმობს. რეგიონების განახლების პროგრამა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა 26 აპრილს, მთავრობის სხდომაზე წარადგინა. „ვერსია“ დაინტერესდა, რას ნიშნავს საქართველოს განახლების მასშტაბური პროგრამა და კონკრეტულად, რა ღონისძიებები იგეგმება მის ფარგლებში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მთავრობის სხდომაზე დეტალურად ახსნა, რას მოიცავს რეგიონების განახლების მასშტაბური პროგრამა. მისი თქმით, საქართველოს 63 მუნიციპალიტეტი სრულად განახლდება, რეკრეაციულ პარკებში ტურისტული ინფრასტრუქტურა განვითარდება, მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ობიექტები აშენდება, უკვე არსებული ობიექტები კი განახლდება. გარდა ამისა, ყველა ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში არსებული კურორტები და განსახლებები ურბანულად განახლდება. მეტიც, პროგრამის ფარგლებში, ახალი დასასვენებელი, ტურისტული და საზოგადოებრივი ზონები შეიქმნება.

„რა თქმა უნდა, ყველას მოგეხსენებათ, რომ საქართველოში უამრავი ადგილია, რომლებიც კიდევ უფრო მიმზიდველი უნდა გავხადოთ, პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეებისთვის და ამავდროულად, ჩვენი ქვეყნის სტუმრებისთვის, ჩვენი ტურისტებისთვის“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ქვეყნის რეგიონების თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ძალიან მნიშვნელოვანია.

„ჩვენი მოქალაქეებისთვის ადგილზე ცხოვრების, შრომისა და ზოგადად, განვითარების პირობების გაუმჯობესება, სახელმწიფოს მთავარი მიზანი უნდა გახდეს. ქვეყნის რეგიონებში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტურისტულად საინტერესო ახალი მიზიდულობის ცენტრების გაჩენა, სოციალური გარემოს გაუმჯობესება, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს თითოეული რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას, განახლებას, განვითარებასა და მოსახლეობისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას“.

ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, რომ რეგიონების განახლების პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება 500 მილიონი ლარი იქნება. მისივე თქმით, პირველ რიგში, ეს პროექტი ითვალისწინებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ხელისუფლების გათვლებით, პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით, 15 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება და რეგიონების მოსახლეობა დასაქმდება. რაც მთავარია, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ახალი პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებზე, მიმდინარე კვირაშივე გამოცხადდება ტენდერები, ხოლო 63 მუნიციპალიტეტში მასშტაბური სამუშაოები კი ივნისიდან დაიწყება. მისივე თქმით, პროგრამით გათვალისწინებულ პროექტებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ და უშუალოდ, მუნიციპალიტეტები განახორციელებენ.

„პროგრამა 500 მილიონი ლარის ფარგლებში დაფინანსდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით. რაც შეეხება პროგრამას, მასში ჩაერთვება ყველა საუკეთესო არქიტექტორი, რა თქმა უნდა, ყველა რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ადგილზე არსებული ავთენტურობის შენარჩუნებით. ეს იქნება ძალიან ძლიერი დასაწყისი იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მასშტაბურად განახლდეს. ამ სამუშაოებს ძალიან მალე დავიწყებთ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ბატონი ირაკლი ქარსელაძე და მისი გუნდი, ბოლო ორი წლის განმავლობაში, საკმაოდ აქტიურად მუშაობდნენ და მინდა, მას მადლობა ვუთხრა. ახლა უკვე, რეალურად, საქმეზე უნდა გადავიდეთ. ჩვენ მაქსიმალურად ახალი სტანდარტი უნდა დავამკვიდროთ ყველგან და თანაბრად, ყველა მუნიციპალიტეტში – ახალი, ევროპული სტანდარტი, რომელიც შეცვლის მთლიანად ჩვენი ქვეყნის საერთო სურათს. ახლა გვჭირდება მაქსიმალური მობილიზება, მეტი საქმე, მეტი შრომა, ჩვენი მოსახლეობის გვერდში დგომა და დახმარება“, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

თავის მხრივ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ახალი პროგრამის ფარგლებში, მნიშვნელოვანი კულტურული და ისტორიული ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაცია განხორციელდება.

„მნიშვნელოვანია, რომ უშუალოდ, ამ პროგრამის ზედამხედველობას განახორციელებს კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები“.

ირაკლი ქარსელაძემ აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონები“, უპრეცედენტო მასშტაბის პროექტია, რომელიც საქართველოს რეგიონების განახლებისა და განვითარების უნიკალურ საშუალებას გვაძლევს. მისივე თქმით, აქამდე, საქართველოში, ასეთი მასშტაბური პროგრამა არ განხორციელებულა.

„ჩვენი ძალისხმევა და ენერგია უნდა იყოს მიმართული გაძლიერებული, განვითარებული, ახალშესაძლებლობა შეძენილი რეგიონები და ეს სწორედ ის პროგრამაა, რაც ამის საშუალებას გვაძლევს. ძლიერი რეგიონები ნამდვილად ნიშნავს ძლიერ საქართველოს, განვითარებულ საქართველოს, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახალ შესაძლებლობებს ქმნის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე, სტუმრებისთვის. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი გამოისახება დამატებით შემოსავალში. დაახლოებით, 15 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება და შესაბამისად, 15 000 ადამიანი დასაქმდება. მნიშვნელოვანია, რომ ისინი არა მხოლოდ დასაქმდებიან, არამედ, იმ ახალ უნარებსა და ჩვევებს შეიძენენ, რაც შემდგომში, ისევ მათ გახდის კონკურენტუნარიანს შრომის ბაზარზე“.

რაც შეეხება პროექტის ღირებულებას, რომელიც 500 მილიონი ლარითაა განსაზღვრული, ირაკლი ქარსელაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი პროექტები ფინანსთა სამინისტროს მიერ მოძიებული სახსრებით განხორციელდება. მისი თქმით, ამ პროექტებისთვის სახელმწიფო დამტებით, ახალ ვალს არ აიღებს.

„500 მილიონი ლარი, პირველი ეტაპის პროექტების საორიენტაციო ღირებულება გახლავთ, რომლის განხორციელებასაც ოთხი წლის განმავლობაში ვაპირებთ. მათ შორის, ბევრი ისეთი პროექტია, რომელიც მუნიციპალიტეტებში, მიმდინარე წელსვე, აუცილებლად განხორციელდება. თუმცა არის ისეთი პროექტებიც, რომლებიც შინაარსობრივად, გაცილებით ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვენ და შესაბამისად, მათ მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში განვახორციელებთ“, – განაცხადა ქარსელაძემ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ აღნიშნა, რომ განახლებული რეგიონების პროგრამა, მუნიციპალიტეტებს ახალ სიცოცხლეს შესძენს. ეს იმიტომ, რომ მუნიციპალიტეტების ისტორიული ცენტრები სრულად განახლდება, რომლებიც ჩვენი ტურისტებისთვის მიზიდულობის ახალ კერებად იქცევა. მეტიც, თურნავამ დააზუსტა, რომ მთავრობის მიერ, აქამდე დაწყებული ყველა დანარჩენი პროგრამა, რეგიონულ ჭრილში გადაეწყობა.

„მიუხედავად პანდემიისა, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ტურისტული ინდუსტრია აღდგეს. ამ პროგრამის ფარგლებში, შეიქმნება ძალიან საინტერესო, უნიკალური, ახალი მიზიდულობის ცენტრები რეგიონებში და – არა მხოლოდ დიდ ქალაქებში. ზოგადად, ჩვენი ყველა დანარჩენი პროგრამა გადაეწყობა რეგიონალურ ჭრილში და კონკრეტული პროგრამების პაკეტებს შევთავაზებთ თითოეულ მუნიციპალიტეტს. ძალიან მალე ნახავთ, როგორ გაცოცხლდება სამშენებლო სამუშაოები, კერძო ბიზნესის აქტივობები, რომლებიც ყოველთვის მოჰყვება სახელმწიფო პროგრამებს“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

გიორგი ვაშაძე: „შემოვა ნაცმოძრაობა პარლამენტში“

რითი ხსნის პატიმრობაში მყოფ ნიკა მელიასთან არშეხვედრას და რატომ მოაწერა შეთანხმებაზე ხელი „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

27 აპრილი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დღეა – შეთანხმების თანახმად, პარლამენტში ოპოზიცია მივიდა და საკანონმდებლო ორგანოში დარეგისტრირდა ამნისტიის შესახებ კანონპროექტი, რომელიც ნიკა მელიას გათავისუფლების საფუძველი უნდა გახდეს, თუმცა საგულისხმოა, რომ ამ შეთანხმებას ანუ შარლ მიშელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს, ხელს არ აწერენ ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო. მეტიც, ოპოზიციის იმ ნაწილსაც აკრიტიკებენ, რომელმაც დასავლეთის მედიაციით მიმდინარე პოლიტიკური მოლაპარაკების პროცესს წერტილი დაუსვა და დოკუმენტს ხელი მოაწერა. შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე, რომელიც „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ოპოზიციამ ერთმანეთთან მისასვლელი ხიდები არ უნდა ჩატეხოს და კრიტიკა ლანძღვაში არავის აერიოს...

– ბატონო გიორგი, რას გულისხმობს ამნისტიის შესახებ დოკუმენტი და ელოდებით თუ არა, რომ ნიკა მელია გათავისუფლდება ანუ ხელისუფლება შეასრულებს საკუთარ პირობას?

– ვფიქრობ, განსაკუთრებით თალაკვაძის გადადგომის შემდეგ, როცა „ქართულმა ოცნებამ“ დამარცხებულად იგრძნო თავი ამ შეთანხმების გაფორმებისას, ალბათ, ყველამ უნდა დავუსვათ კითხვა იმ ორ პარტიას – ნაციონალური მოძრაობას და ევროპულ საქართველოს – რატომ არ მოაწერეს ხელი დოკუმენტს?

– ისე, ხელი ლეიბორისტულმა პარტიამაც არ მოაწერა...

– ეს პარტია ხომ თავიდანვე გაეთიშა მოლაპარაკებებს... ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ოპოზიციის 14 მომლაპარაკებლიდან ორმა არ მოაწერა ხელი და 12-მა მოაწერა. მერე, გამოდის ის ორი და რაღაც ტყუილებს ყვება... ჰოდა, 12-ს უნდა დავუჯეროთ თუ ორს? ხომ არის ამაში სხვაობა? მით უმეტეს, ხელმომწერებში არიან პარლამენტის ორი ყოფილი თავმჯდომარე, ბიზნესის მფლობელი, დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები, სამართლის სპეციალისტები და ა.შ. ამიტომ ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათელია.

რაც შეეხება შეთანხმებას, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ შეთანხმების რეალიზება „ქართული ოცნების“ პირობებში მარტივი იქნება, ძალიან ცდება და პირადად მე, ეს ილუზია არ მაქვს. მოლოდინი მაქვს, რომ ყველა კანონსა და მუხლზე ბრძოლა მოგვიწევს, მაგრამ მთავარი, რაც მოვიპოვეთ, სრული მხარდაჭერაა დასავლეთისგან. თუ „ქართული ოცნება“ შეეცდება, რამე ისე გადააკეთოს, როგორც უნდა, ჩვენ გვექნება სრული მხარდაჭერა დასავლეთისგან. დღეს, ოპოზიციას დასავლეთის სრული მხარდაჭერა აქვს, განსაკუთრებით ჩვენ, იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებმაც ხელი მოვაწერეთ ამ დოკუმენტს. გარანტი, რომ ამ შეთანხმების რეალიზება მოხდება, დასავლელი პარტნიორები არიან, მით უმეტეს, ევროპარლამენტი და ევროკავშირიც ამბობს, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღება, შეიძლება, ამ დოკუმენტზე იყოს დამოკიდებული.

ამერიკული მხარე კი აცხადებს, რომ სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება ამ დოკუმენტის შესრულებაზე იქნება დამოკიდებული, ამიტომ ეს არის ზემნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელზეც უნდა ვიბრძოლოთ...

ამნისტიის შესახებ კანონპროექტი, სიმართლე გითხრათ, ურთულესი კანონია, მაგრამ ამაზე ვმუშაობთ. მთავარი, რაზეც შევთანხმდით, არის ის, რომ კონვენციურ დანაშაულზე არ გავრცელდება ამნისტიის კანონი.

– რას გულისხმობთ?

– ვინც თვალი დათხარა ხალხს, ან ვინც თვალის დათხრის დავალება გასცა, ორივე ეს ქმედება არის კონვენციით დაცული დანაშაული და ამაზე სარჩელი აქვს გაგზავნილი სტრასბურგში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. შესაბამისად, რომ არ ყოფილიყო ინტერპრეტაციები, შიდა კანონმდებლობა რომ არ მოსულიყო წინააღმდეგობაში ევროპასთან ნაკისრ ჩვენს ვალდებულებებთან, შევთანხმდით, რომ ამ კანონში პირდაპირ ჩაიწერება – იმ დანაშაულებზე, რომლებსაც საერთაშორისო კონვენციები ითვალისწინებენ, რომელთა მონაწილეცაა საქართველო, ვერ გავრცელდება ამნისტიის ეს აქტი. მარტივად რომ ვთქვათ, ჯალათებზე ამნისტიის აქტი ვერ გავრცელდება. ვფიქრობ, ამით პასუხი გავეცით იმ სპეკულაციებს, რომლებიც იყო ამნისტიის საკითხთან დაკავშირებით.

– ისე, თავად ნიკა მელია არ ეთანხმება ამნისტიის საკითხს. ნაციონალური მოძრაობა კი არც ამნისტიის კანონპროექტზე გეთანხმებათ და არც – დოკუმენტზე ხელმოწერის გადაწყვეტილებაზე...

– ნაციონალური მოძრაობა თავის თავსაც აღარ ეთანხმება უკვე (იცინის).

– საინტერესოა, როგორ ხსნით იმ ფაქტს, რომ ენმ-მ ხელი არ მოაწერა ამ დოკუმენტს და თქვენც გაკრიტიკებთ ამის გამო?

– შეცდომით. პირდაპირ გეტყვით, რომ სამწუხაროდ, ნაციონალურ მოძრაობაში არ აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელიც ამ დოკუმენტს დაინახავდა დიდ ჭრილში. ნიკა მელია ციხეშია და ერთადერთი სალომე სამადაშვილი აღმოჩნდა, რომელსაც არ შეეშინდა, ხმამაღლა ეთქვა, რასაც სინამდვილეში, უმრავლესობა ფიქრობს. ეს დასაფასებელია და ხედავთ ევროპარლამენტარების რეაქციას სამადაშვილთან მიმართებაში...

– თუმცა, მან მწვავე კრიტიკაც დაიმსახურა აწ უკვე ყოფილი თანაგუნდელებისგან...

– კი, მაგრამ ეს ხომ ორ-სამდღიანი ემოციაა, როგორც მე შემომივარდნენ...

– დიახ, თქვენც მწვავედ გაკრიტიკებდნენ!

– კი, მაგრამ გადაიარა ამ ტალღამ, ემოციურ ფონზე დაძაბულობა მოიხსნა და დაიწყეს რეალურად გააზრება, თუ რა კარგი დოკუმენტია... უფრო სწორად, მაქსიმალურად კარგი დოკუმენტია. სხვათა შორის, მიშა სააკაშვილი აღმოჩნდა ერთადერთი პოლიტიკოსი ნაცმოძრაობაში, რომელმაც ერთ ღამეში გაიაზრა და მეორე დღეს, აბსოლუტურად განსხვავებული განცხადება გააკეთა.

– დიახ, მან მოუწოდა საკუთარ გუნდს, ხელი მოაწეროს დოკუმენტს... ბატონო გიორგი, 15 მაისის აქციას შეუერთდებით?

– სიმართლე გითხრათ, ახლა უფრო გადართული ვარ ამნისტიის კანონზე, რომ სტარტი მივცეთ, რადგან უამრავი კანონია – კონსტიტუციაში, ორგანულ კანონში ცვლილებები და ძალიან ბევრი დოკუმენტია შესაქმნელი... დავსხდებით და მივიღებთ გადაწყვეტილებას 15 მაისთან დაკავშირებით. სხვადასხვა პოზიცია რომ გვაქვს, არ ნიშნავს, რომ ოპოზიცია უნდა გაიხლიჩოს. სწორედ ამისკენ მოვუწოდებდი იმ ორ, დოკუმენტისგან გამიჯნულ პარტიას, ნუ დაიწყებთ თავდასხმებს-მეთქი. კრიტიკა შეიძლება იყოს, მაგრამ ლანძღვა არ არის სწორი. ერთმანეთთან არ უნდა ჩავტეხოთ მისასვლელი ხიდები, რადგან ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ გასაშვებია ხელისუფლებიდან და ხომ ვიცით, რომ დაგვჭირდება თანამშრომლობა ამ კუთხით? ცალ-ცალკე პარტიებმა თუ ერთმანეთი დავხოცეთ, ივანიშვილის საქმეს გავაკეთებთ... თითქოს დალაგდა მათი გზავნილები და ემოციიდან რაციონალიზმისკენ გადავიდნენ.

რაც შეეხება ნიკა მელიას, რომელიც უარს ამბობს ამნისტიაზე, არ შეიძლება, მას მორალური პასუხისმგებლობა დავაკისროთ ამნისტიასთან დაკავშირებით. ეს პასუხისმგებლობა გვაქვს ჩვენ, ვინც ამაზე შევთანხმდით, რადგან ვიცით, რომ მელია პოლიტიკური პატიმარია და ის უნდა გავათავისუფლოთ. შესაბამისად, ამ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, როგორც პოლიტიკურს, ასევე, მორალურს, ჩვენ ვიღებთ. საპატიმრო დაწესებულებაში მყოფ ადამიანს არ შეიძლება, გადააკისრო მორალური პასუხისმგებლობა.

– ოპოზიციის ნაწილი, რომელიც გაკრიტიკებთ, ამბობს, ცოტაც რომ გაეძლოთ, მმართველ ძალასთან უფრო მნიშვნელოვან შეთანხმებას მივაღწევდითო. მოლაპარაკების ყველა დეტალი იცით და რას იტყვით, ეს დოკუმენტი მაქსიმუმია, რასაც ხელისუფლებას დაათმობინებდით, თუ მართლაც, ცდუნებას ვერ გაუძელით და იჩქარეთ?

– უფრო მეტს გეტყვით, ჩვენ რომ მოვაწერეთ ხელი, ამის შემდეგ, 24-საათიანი საშინელი წნეხი იყო „ქართულ ოცნებაზე“, რომ ხელი მოეწერა. ისევ ციფრებს დავუბრუნდები, 14 მომლაპარაკებლიდან 12 რომ ამბობს, ეს მაქსიმუმზე მაქსიმუმი იყოო და ორს, უბრალოდ, სხვა ინტერესი აქვს... ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკური კრახი მოუვიდა, ევროპულ საქართველოს კი სხვა ინტერესი აქვს... კაკო ბობოხიძე გამოვიდა და იტყუება ჩემს ნათქვამთან დაკავშირებით. მივწერე კიდეც, რატომ იტყუები-მეთქი? ... რა ხდება, ნახეთ, დამოუკიდებლობის 30-წლიანი ისტორიის მანძილზე, კაკო ბობოხიძე სულ დეპუტატი იყო. პირველად მოხდა, რომ არ ზის პარლამენტში და ამ დოკუმენტში ხომ არ ჩავაწერინებდით, კაკო ბობოხიძეს პარლამენტში ჯდომა ეკუთვნის-თქო? ხომ ვერ შევიყვანდით პარლამენტში და რანაირად უნდა მოვაწონო კაკო ბობოხიძეს ეს დოკუმენტი? – მითხარით, რა!

– ფიქრობთ, პარლამენტში შესვლის პრობლემა ჰქონდა გიგა ბოკერიასაც, არა?

– რა თქმა უნდა. მეტს გეტყვით, 2016 წელს არ გაყალბდა არჩევნები? ეს ხალხი ხომ შევიდა პარლამენტში? მაშინ რომ ბოიკოტი გამოეცხადებინათ და ამის ნახევარისთვის მიეღწიათ, დღეს ხელისუფლება შეცვლილი იქნებოდა.

– ევროპული საქართველოსგან განსხვავებით, ეს პრობლემა არ აქვს ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ დოკუმენტს ხელს მაინც არ აწერს.

– მართლა გეუბნებით, ნაციონალურ მოძრაობაში არ აღმოჩნდა პოლიტიკური ალღოს მქონე ადამიანი, თორემ მიხეილ სააკაშვილმა მოუწოდა თავის პარტიას, ხელი მოეწერა. ნიკა მელიას უკან ამოფარება არასწორია იმიტომ, რომ კაცი ციხეშია და მორალური პასუხისმგებლობა რანაირად შეიძლება, საპატიმროში მყოფ ადამიანზე იყოს? ვიღაცები მეუბნებიან, რატომ არ შეხვდი ნიკა მელიასო? ძალიან კარგად ვიცი მისი პოზიცია, მუდმივი კომუნიკაცია გვქონდა მისი თანაგუნდელების და არა მარტო მათი მეშვეობით, მაგრამ ჩემი იქ მისვლა და შემდეგ გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს, რომ მას ვაკისრებ პასუხისმგებლობას. არადა, ჩემი პასუხისმგებლობაა, თავისუფლებაზე მყოფი ადამიანის, რომ პოლიტპატიმარი გარეთ გამოვიყვანო, ამას ცალსახად ვაცხადებ.

მოკლედ, მათ შეცდომა მოუვიდათ და ახლა, ამ დიდი პოლიტიკური შეცდომის „გაპრავება“-გამართლების პროცესში არიან. არა უშავს, მივიღებთ ამნისტიას, გამოვა მელია და შემოვა ნაცმოძრაობა პარლამენტში, აბა, სად წავა?

– ესე იგი, ელოდებით, რომ ენმ შემოვა პარლამენტში?

– აბა, რას იზამენ? სწორია, რომ უნდა შევიდნენ. ნიშნის მოგებით კი არ ვეუბნები, უბრალოდ, ვამბობ, რომ შევლენ და უნდა შევიდნენ, რადგან ესაა სწორი.

მიხეილ რამიშვილი თბილისის მერობისთვის ბრძოლას იწყებს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„არ ვარ დამონებული... და დროა, ჩემი გამოცდილება სხვანაირად წარმოვაჩინო!“

არაერთი გახმაურებული საქმის ადვოკატი და, უბრალოდ, თბილისის კოლორიტი, მიხეილ რამიშვილი თბილისის მერობისთვის იბრძოლებს, – ამ გადაწყვეტილების შესახებ რამიშვილმა საზოგადოებას სოციალური ქსელით აცნობა: „გადავწყვიტე, თბილისის მერობის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა მივიღო. დროთა განმავლობაში, გაგაცნობთ დედაქალაქის მართვის პროგრამას და გეგმას. ეს არ იქნება ფუჭი სიტყვები და ყალბი დაპირებები, რადგანაც დედაქალაქი – თბილისი თქვენია, მეც თქვენი ვარ და ვიქნები“. „ვერსია“ მიხეილ რამიშვილს ესაუბრა:

– გადავწყვიტე, მონაწილეობა მივიღო თბილისის მერობის არჩევნებში, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა იმიტომ, რომ არ მიმაჩნია სწორად, გამუდმებით ერთი და იგივე სახეების დომინოს სახით გადაადგილება, ერთი და იგივე ადამიანების გამოჩენა ყოველთვის. ის ადამიანები კი, რომელთაც ძალიან დიდი გამოცდილება გვაქვს, ყოველთვის ჩრდილში ვდგავართ და არასოდეს ვჩანვართ.

ადამიანები, რომლებიც მართლაც, სულითა და გულით ვემსახურებით ჩვენს საზოგადოებას და არ ვართ ორიენტირებულნი მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე, არ ვართ დამონებულნი და გარკვეული ჯგუფის მსახურებაში. ჩვენ ვართ ხალხის მსახურებაში და ვფიქრობ, დროა, ჩვენი სიტყვა ვთქვათ, თან ისეთ ასაკში ვარ, რომ ჩემი გამოცდილება სხვანაირად უნდა წარმოვაჩინო.

– რატომ არ აპირებთ კენჭისყრას რომელიმე პარტიიდან? ისე, ბოლოს, თაკო ჩარკვიანის პარტია „კანონი და სამართლის“ წარმომადგენელი იყავით...

– კონკრეტულად რომელიმე პარტიის ან ჯგუფის ინტერესების მოთხოვნით, არასდროს არაფერს გავაკეთებ. ჩემი მოთხოვნა, პროგრამა და მიზანი საზოგადოებისა და იმ ადამიანების ინტერესებია, რომლებსაც არასდროს შევადარებ საქართველოსა და საფრანგეთში, სანაგვეში მყოფ ადამიანებს. შედარება, რომ იქაც ცუდად არიან და აქაც – არასწორია, ყველგან კარგად უნდა იყვნენ!

ვისაც უნდა ჩემთან ურთიერთობა და ექნება გარკვეული შემოთავაზება, დიდი სიამოვნებით მივიღებ, მაგრამ არა – იმ პრინციპით, რომ რაღაც პოლიტიკური სვლა ჰქონდეთ საკუთარი მომავლისკენ. საზოგადოებას სვლა უნდა ჰქონდეს კეთილდღეობისკენ და თბილისი არ უნდა იქცეს გარკვეული ჯგუფის ინტერესების ქალაქად.

– გასაგებია, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ გინდათ ასოცირება, მაგრამ არჩევნებში დაგჭირდებათ ფინანსური მხარდაჭერა და რესურსი. არ გიფიქრიათ ამაზე?

– ვიმედოვნებ, რომ ყოველთვის გამოჩნდება „სანტა კლაუსი“, მაგრამ პირდაპირ შემიძლია, გითხრათ – არასდროს და ვერასდროს ვივაჭრებ ხალხით და ხალხის კეთილდღეობით!

არ მჩვევია ვაჭრობა და არ შეიძლება, ადამიანებითა და პრინციპებით ივაჭრო. თუ ვინმეს ექნება სურვილი, რომ თბილისს დაუბრუნდეს ის სახე და წეს-ჩვეულება, როგორიც ჰქონდა – „ყველა შენ გეტრფის, ჩემო თბილისო, ქვეყანას შენი ნახვა სწრყურია...“ – ასეთი თბილისი მინდა იყოს და ეს იქნება ჩემი მიზანი, რომ თბილისი დაბრუნდეს იმ ჩარჩოში, როგორშიც იყო.

არ იყოს სოციალური გაჭირვება და ხალხი მარტო დაპირებებით არ ცხოვრობდეს. მარტო თანამდებობის პირები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი და სოციალურად დაუცველები არ ცხოვრობდნენ მასობრივად ქალაქ თბილისში – არ მინდა და ამას არასდროს დავუშვებ, თუ ოდესმე, ამის შანსი მომეცემა.

– ბატონო მიხეილ, საზოგადოების ნაწილმა გაგიცნოთ გახმაურებული საქმეებით. როგორ ფიქრობთ, თქვენი პროფესიული ბეგრაუნდი თქვენთვის ხელშემწყობი იქნება არჩევნებში, თუ პირიქით?

– შეიძლება, ერთიც იყოს და მეორეც, მაგრამ ერთი რაღაც ვიცი – მე ჩემი ოჯახიდან და ჩემი ცხოვრების წესიდან მომყვება სახელი და ყოველთვის, ყველასთვის საყვარელი ვერ იქნები. ზოგს არ ეყვარები, ზოგს ეყვარები, ზოგს შენი სიმღერა მოეწონება, ზოგს – არა.

ასე რომ, ყველასთვის უნივერსალური და საყვარელი ვერასდროს იქნები.

– გისურვებთ წარმატებას!

შეიძლება თუ არა ცოფზე აცრის შემდეგ კორონას საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება

ია გრიგალაშვილი

რატომ არის ძაღლისა და კატის ნაკბენზე საშიში კურდღლის ნაკბენი – ექიმის განმარეტებები

ცოფი გავრცელებული ვირუსულ-ინფექციური დაავადებაა, რომლის თავიდან აცილების ერთადერთი გზა ანტირაბიული ვაქცინაციაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცოფი დაავადებულის გარდაცვალებით სრულდება. სამწუხაროდ, წლებია, ამ მხრივ საქართველო არაკეთილსაიმედო ზონად მიიჩნევა, რადგან თითქმის ყოველწლიურად, ცოფის შემთხვევები ფიქსირდება. ყოველდღიურად, აცრის მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, მათ შორის არიან კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტებიც.

ცოფით ნებისმიერი ძუძუმწოვარი შეიძლება დაავადდეს, თუმცა ადამიანისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს ძაღლი, კატა, ღამურა, კურდღელი, ვირთხა და მელა წარმოადგენენ, რადგან ხშირად, ეს არსებები ცოფის ვირუსის მატარებლები არიან. ადამიანის ორგანიზმში ცოფი ვითარდება, თუ დაინფიცირებულმა ცხოველმა დაგკბინათ, დაგკაწრათ ან ჭრილობაზე დაგდორბლათ. ვაქცინაცია აუცილებელია, რადგან მისი ჩაუტარებლობა, ადამიანის სიკვდილს გამოიწვევს. „მომართვიანობა საკმაოდ ხშირია, ზოგჯერ დღეში, 30 ადამიანამდეც მიმიღია. მათ შორის, კოვიდინფიცირებულებიც. ცოფი არის ვირუსი, რომლის წინაშე ყველაფერი უძლურია და თუ დგება მისი საშიშროების ფაქტი, ყველა შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს აცრა“, – ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ქირურგ-რაბიოლოგი, თეიმურაზ გოგბიძე.

– აუცილებელია თუ არა, რომ აცრა, შემთხვევიდან 24 საათის განმავლობაში ჩატარდეს?

– 24 საათში აცრა აუცილებლობას არ წარმოადგენს. ცოფის ინკუბაციური პერიოდი 8-10 დღიდან, ერთ წლამდე გრძელდება. გვქონია შემთხვევები, როდესაც ადამიანს შემთხვევიდან მეხუთე, ან მეშვიდე დღეს მოუმართავს და აცრა ჩაგვიტარებია.

– რა სახის პირველადი დახმარება უნდა გაეწიოს პაციენტს, სანამ მოგმართავთ?

– ნაკბენი ან ნაკაწრი საპნიანი წყლით, ნაზად უნდა დამუშავდეს. არ გამოიყენოთ სპირტი და იოდი.

– თუ აცრის კურსის ჩატარების შემდეგ, მოკლე ვადაში, კვლავ განმეორდა დაკაწვრა-დაკბენა, ამ შემთხვევაში რა ხდება?

– ამ დროს, აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია. გააჩნია, რა ხნის შემდეგ განმეორდა შემთხვევა და პაციენტმა აცრის სრული კურსი ჩაიტარა, თუ ნახევარი. ნახევარ კურსს (სამი ვიზიტი) იტარებს ის, ვისაც შეუძლია ცხოველზე დაკვირვება რამდენიმე დღის განმავლობაში. ძირითდად, თუ ახლო პერიოდში განმეორდა, მაგალითად, ერთი თვის მანძილზე, ხელმეორე აცრა საჭირო არაა. სრული კურსის ჩატარების შემთხვევაში, ცოფის ვაქცინა, თითქმის ერთი წელი რჩება ორგანიზმში.

– თუ ცხოველი შინაურია და აცრილია, შეიძლება თუ არა, ან უნდა ვიჩქაროთ თუ არა ვაქცინაცია?

– არა, რადგან ცოფის მხრივ, საქართველო არაკეთილსაიმედო ზონაა და ხშირია ამ ვირუსის დაფიქსირების შემთხვევები. სამწუხაროდ, აცრილ ცხოველებშიც გამოვლინებულა ცოფი, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ცხოველი არაკეთილსინდისიერად აცრეს. თუ ვაქცინა შესაბამის პირობებში არ შეინახეს, ეფექტიანობას კარგავს, ამიტომ ცხოველის კეთილსინდისიერად აცრას დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით საფრთხილოა, თუ ადამიანი კატისა და ძაღლის გარდა, სხვა ცხოველმა, მაგალითად, კურდღელმა ან ზაზუნამ დაკაწრა/დაკბინა. ამ დროს, ანტირაბიული ვაქცინა დაუყონებლივ უნდა ჩატარდეს.

– არსებობს თუ არა ისეთი ვაქცინა, რომელიც წლების განმავლობაში დაიცავს ადამიანს ცოფის ვირუსისგან?

– არა, სამწუხაროდ, მსგავსი ვაქცინა არ არსებობს. ვაქცინის ჩატარება ყოველთვის აუცილებელია და მნიშვნელობა არ აქვს, რა ასაკისა და მდგომარეობის ადამიანი იტარებს. მათ შორის, არც ორსულობა წარმოადგენს დაბრკოლებას, რადგან ამ დროს, ადამიანის სიცოცხლე დევს სასწორზე.

– ვნებს თუ არა ანტირაბიული ვაქცინა იმუნურ სისტემას?

– არა, იმუნურ სისტემას, ძირითადად, არ ვნებს, მით უმეტეს, როდესაც ვაქცინა გადის ორგანიზმიდან. თუ ადამიანს აქვს რაიმე მალული დაავადება, მაგალითად, რევმატიული, შეიძლება, ამან იჩინოს თავი და ამ შემთხვევაში, ვაქცინა სანიტარის როლსაც ასრულებს.

– კოვიდინფიცირებულისთვის თუ ჩაგიტარებიათ ვაქცინა?

– პირველად საქართველოში, მე გავუკეთე ცოფის აცრა კოვიდით დაინფიცირებულს. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და გვერდითი მოვლენები არ დაფიქსირებულა, თუმცა თითოეულ ადამიანში ინდივიდუალურად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი.

– ანტირაბიული ვაქცინის ჩატარებიდან რამდენ ხანში შეიძლება გაკეთდეს კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინა?

– ვაქცინაციის პერიოდში და მისი დამთავრებიდან ერთი-ორი თვის განმავლობაში, აკრძალულია ყველა სხვა აცრების ჩატარება, მათ შორის, კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინისაც.

– თუ პაციენტს ახალი ჩატარებული აქვს კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინა, მაშინ?

– ამის მიუხედავად, დღესდღეისობით რეკომენდაციაა, რომ მაინც აუცილებელია დაუყონებლივ ჩატარდეს ანტირაბიული ვაქცინა.

– ფასიანია თუ არა ვაქცინის ჩატარება?

– ვაქცინის ჩატარება უფასოა, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებსაც 1 000 ლარს ზემოთ უფიქსირდებათ ხელფასი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მუქარის, იძულებისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატრებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ო.ი., მუქარის, იძულებისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე, თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 20 აპრილს, ო.ი., 1984 წელს დაბადებულ ქ.ე.-სა და 1989 წელს დაბადებულ ნ.უ.-ს ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა.

ასევე, დაკავებულმა იძულებით გამოართვა ერთ-ერთ დაზარალებულს მისი კუთვნილი ტელეფონი.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე, 150-ე და 284-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც მუქარას, იძულებასა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევას გულიხსმობს.

სამართალი

№13 28 აპრილი 2021 წ

მაკლერმა საიდუმლო ლაბორატორიის მეცნიერი პორტვეინით მოწამლა

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა კავშირის დროს, იმ ლაბორატორიების თანამშრომლებს, რომლებსაც საიდუმლო სტატუსი ჰქონდათ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ყველაფერთან ერთად, მათ ეკრძალებოდათ ქვეყნიდან გასვლა და ნებისმიერი კავშირი უცხო ქვეყნის მოქალაქესთან, თუმცა ჰქონდათ განსაკუთრებული პრივილეგიებიც – ნებისმიერ კურორტზე საგზური ურიგოდ, დასვენების განსაკუთრებული გრაფიკი, საცხოვრებელი ბინა და ავტომობილი ურიგოდ. რაღა თქმა უნდა, მათი ჯამაგირიც განსხვავებული იყო. როცა ისინი ცუდად ხდებოდნენ, სასწრაფოს ნაცვლად, უშიშროების კომიტეტში რეკავდნენ და მათთან სხვა ექიმებს გზავნიდნენ. წესითა და რიგით, ასე უნდა მომხდარიყო 1986 წელსაც, როცა ერთ-ერთი საიდუმლო ლაბორატორიის თანამშრომელი მოულოდნელად ცუდად გახდა, თუმცა უშიშროების კომიტეტის ნაცვლად, დაბნეულმა მეუღლემ სასწრაფოში დარეკა. ისე ჩანს, ეს საკითხი ყველა დონეზე დალაგებული იყო, ამიტომ სასწრაფო დახმარების ექიმები ორი წუთის მისულებიც არ იყვნენ, როცა კარი უშიშროების თანამშრომლებმა შეაღეს და სასწრაფოს ექიმებს იქვე ჩამოართვეს ხელწერილი, რომ აღნიშნული გამოძახების შესახებ, კრინტს არავისთან დაძრავდნენ.

მამა-შვილის ტრაგიკული ისტორიის დეტალები

„იმ ექიმებიდან ერთ-ერთი, ჩემი ცოლი იყო და იმის მიუხედავად, რომ ხელწერილი ჰქონდა დაწერილი, შინ მოსულმა ყველაფერი მიამბო. მითხრა, კაცი ცუდად იმიტომ გახდა, რომ აშკარად მოწამლული იყო და სპეციფიური გამონაყარიც ჰქონდაო. მოყოლა ძლივს მოასწრო, სამსახურიდან დამირეკეს, საგანგებო საქმეა და მოდიო. სწორედ იმ ავადმყოფის გამო მიბარებდნენ, რომელზეც ჩემმა ცოლმა მიამბო, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდი, დეტალები ვიცი-მეთქი, ორივეს დაგვიჭერდნენ. ამიტომ, მშვიდად მოვისმინე ის, რაც უკვე ვიცოდი და ისიც გავიგე, რომ ეს კაცი საიდუმლო პროექტზე მუშაობდა, შესაბამისად, შესაძლებელი იყო, ის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს მოეწამლათ. მე მილიციის მიმართულებით უნდა მემუშავა ანუ ჩვეულებრივი ძიება მეწარმოებინა, უშიშროება კი თავისი ძალებით იმუშავებდა. კი გამიკვირდა, მკვლელობა არ არის და მე რატომ მეძახით-მეთქი, მაგრამ ამიხსნეს, ისეთი საწამლავითაა მოწამლული, 2-3 დღეში აუცილებლად მოკვდება და მაინც შენ გადმოგეცემა საქმე, ამიტომ აჯობებს, თავიდანვე შენ იყოო“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ექიმები მაქსიმალურად ცდილობდნენ, კაცი ისე არ მომკვდარიყო, აზრზე არ მოსულიყო და სიტყვა მაინც არ ეთქვა, თუმცა ამის იმედი მინიმალური გახლდათ. გამომძიებლებმა, პირველ რიგში, ოჯახის წევრები დაკითხეს, თუმცა რაღა წევრები, მას მხოლოდ მეუღლე ჰყავდა, შვილი – არა და ამიტომ, ცოლის დაკითხვა უშიშროებამ და მილიციამ ერთდროულად გადაწყვიტეს.

„ვიცი, ვინც მოწამლა ჩემი ქმარი. იმ ახალგაზრდა კახპამ, ამას წინათ რომ დავინახე მასთან ერთად“, – თქვა ცოლმა და ისიც დააყოლა, ის „კახპა“ 20 წლისაც ვერ იქნება, ჩემი ქმარი რამ გააგიჟა, არ ვიციო.

თანამშრომლების დაკითხვამ გამოძიებას ახალი არაფერი მისცა. ახალგაზრდა გოგონას შესახებ დასმულ კითხვაზე მათ პირი დააღეს, გამორიცხულია, ვინმე ჰყოლოდა, მისი ცოლიც, შვილიც, ოჯახიცა და საერთოდ ყველაფერი, საქმე იყო და ლაბორატორიაში ცხოვრობდაო, თუმცა ფაქტია, ცოლმა ვიღაც გოგო ნახა და ის ვიღაც აუცილებლად უნდა ეპოვათ.

„უშიშროებამ ივარაუდა, რომ ის, ვინც ლაბორატორიის თანამშრომელი მოწამლა, აუცილებლად შეეცდებოდა საქმის ბოლომდე მიყვანას. ამიტომ, საავადმყოფოში ოთხი ოპერმუშაკი დატოვეს, ოღონდ ისე, რომ ეჭვი არავის აეღო, თეთრ ხალათებში გამოაწყვეს. მეორე საღამოს, ამან შედეგი გამოიღო – პალატაში შესვლის მცდელობისას, 20 წლამდე ასაკის გოგონა დააკავეს და დარეკეს. ადგილზე მეც წავედი და უშიშროების გამომძიებელიც“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გზაშივე გადაწყდა, რომ განყოფილებაში მისვლამდე, გოგონას საავადმყოფოში დაკითხავდნენ და მთავარი ექიმის კაბინეტში შეიყვანეს. იქ გოგომ თქვა, რომ მამამისის საძებნელად იყო მოსული, რომ ის მოწამლული კაცის უკანონო შვილია, რომელიც სულ რაღაც, ოთხი კვირის წინ იპოვა და აგერ, ვიღაცამ მოუწამლა. ამას რომ ამბობდა, მოულოდნელად, გოგონამ ფერი დაკარგა, სკამიდან ჩაცურდა და უგონოდ დაეცა. ექიმებმა ის მაშინვე საოპერაციოში გააქანეს, თუმცა ოპერაცია არ დასჭირვებია – გამოცდილმა ექიმებმა დაასკვნეს, ესეც მოწამლულიაო, თუმცა მამისა და შვილის საწამლავის შემადგენლობა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. თუ კაცი საწამლავის კოქტეილით იყო მოწამლული, გოგონას აორთქლებული ვერცხლისწყალი ჰქონდა ნასუნთქი. ის აზრზე მალე მოიყვანეს, საავადმყოფოდანაც მალე გაუშვეს... გოგონამ სამართალდამცავებს დედისა და მამის ერთად გადაღებული ფოტოები ანახა, მამას მოუთხოვია, ბავშვი არ გააჩინო, არ მეცლება, ჩემი თავი მეცნიერებას უნდა მივუძღვნაო, ქალმა არ დაუჯერა, მაინც გააჩინა შვილი, კაცი კი გაქრა და ცოლად ისეთი ქალი მოიყვანა, რომელიც თანახმა იყო, შვილი არ ჰყოლოდა.

„გოგონა ბევრს გვესაუბრებოდა. 12 წლის იყო, როცა დედა მოუკვდა და მისგან მხოლოდ სურათები დარჩა. მამის მარტო სახელი იცოდა და ასე ვერ იპოვიდა. ამიტომ, ის ბავშვთა სახლში გაუშვეს, სრულწლოვან ასაკამდე მიღწევის შემდეგ კი, საერთო საცხოვრებლის მაგვარ სახლში შეუშვეს, ერთი ოთახი გამოუყვეს და სამკერვალოში მუშაობაც დააწყებინეს. პარალელურად, სამკერვალო ტექნიკუმშიც სწავლობდა. მამა შემთხვევით, ტელევიზორში დაინახა, რაღაც მეცნიერულ ფორუმზე იყო, სახელი რომ დაემთხვა, გაუხარდა, გვარიც გაიგო და სამსახურში სურათებით მიადგა. კაცი ატირდა, ძალიან გაუხარდა, შვილი რომ ჰყავდა, მერე კი, როცა მისი საცხოვრებელი პირობები გაიგო, გადაწყვიტა, იატაკქვეშა მაკლერის მეშვეობით, შვილისთვის ერთოთახიანი ბინა ეყიდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გოგოს თქმით, მაკლერს მამამ ექვსი ათასი მანეთი გადაუხადა. რომ არ ტყუოდა, იქიდანაც ჩანდა, რომ მეცნიერს ანგარიშიდან მართლაც ჰქონდა მოხსნილი ექვსი ათასი. გოგონასთან რაღაც იყო დასაზუსტებელი და მასთან სახლში, გამომძიებლებმა ოპერმუშაკი გაუშვეს. ახალგაზრდებმა ჩაი დალიეს, შემდეგ ცოტა იჭორავეს და... მოულოდნელად, გოგონამ გონება ისევ დაკარგა, ოპერმუშაკს გული აერია. ცხადი გახდა, ორივე მოწამლული იყო, ორივემ ვერცხლისწყალი ისუნთქა. უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა, სპეციალური ხელსაწყოებით, გოგოს ოთახი დაათვალიერეს და ვერცხლისწყლის საბადოსაც მიაგნეს – მეზობელი ოთახიდან კედელი იყო გახვრეტილი და მეზობლები ვერცხლისწყალს თერმომეტრიდან პირდაპირ გოგონას ოთახში ასხამდნენ. მიზეზი ბანალური – მათ იმედი ჰქონდათ, რომ თუ გოგო მოკვდებოდა, ის ოთახი მათ ერგებოდათ და გაფართოვდებოდნენ. ცოლ-ქმარი დააკავეს და მოგვიანებით, მკვლელობის მცდელობისთვის, 5-5 წელი მისცეს.

ახლა მთავარი იყო, მაკლერი მოეძებნათ. სამართალდამცავებს გოგო იმ ადგილებში დაჰყავდათ, სადაც მაკლერები ხშირად იკრიბებოდნენ. მართალია, მან ვერავინ ამოიცნო, მაგრამ მერე გაირკვა – თავად მაკლერმა შენიშნა გოგონა და სამართალდამცავები, მიხვდა, რომ სწორედ მას ეძებდნენ და ადგილიდან ჩუმად გაიპარა. მან არასასურველი მოწმის მოშორება გადაწყვიტა და ეს საქმე არ გადადო, მეორე დღესვე, მის ოთახში მივიდა.

„როცა კარზე დააკაკუნეს, წვნიანს ვაკეთებდი. კარი გავაღე და კარში მაკლერი დავინახე, რომელსაც ხელში დანა ეკავა. მივხვდი, ჩემს მოსაკლავად მოვიდა. ანგარიშმიუცემლად ქვაბისკენ გავიქეცი, გამომეკიდა და სანამ დანას მომიქნევდა, ქვაბი ავიღე და მდუღარე წვნიანი სახეში შევასხი“, – ეს არის ამონარიდი გოგონას ჩვენებიდან. მკვლელმა მიმალვა შეძლო, თუმცა ორი დღის შემდეგ, თავად გამოცხადდა საავადმყოფოში, რადგან სახეზე საშინელ დამწვრობას ვერ მკურნალობდა. რაღა თქმა უნდა, მაკლერი დააკავეს. დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე, მეცნიერი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

„ვალები მქონდა და როცა ეს საქმე გამოჩნდა, მივხვდი, ამ კაცსა და მის ქალიშვილს თუ მოვიშორებდი, ფული დამრჩებოდა. როცა თანხა გადმომცეს, პორტვეინი დავუტოვე, რომელშიც საწამლავი იყო გარეული და ვუთხარი, წარმატებული გარიგება აღნიშნეთ, ორ დღეში, ახალი ბინა გექნებათ-მეთქი. თურმე, მხოლოდ კაცს დაულევია და ამას მაშინ მივხვდი, როცა გოგონა თქვენთან ერთად დავინახე“, – აღიარა მკვლელმა.

ბევრის გასაოცრად, განზრახ მკვლელობისთვის, მას მხოლოდ 15 წელი მისცეს, მაგრამ როცა რვა თვის შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, არც არავის გაჰკვირვებია.

რაც შეეხება გოგონას, როგორც კი მეცნიერის ცოლმა გაიგო, რომ ის მისი ქმრის შვილი იყო, მასთან საცხოვრებლად გადასვლა შესთავაზა და პირდაპირ უთხრა, მამაშენის ნაშრომ-ნაჯაფი, ბინაც, მანქანაცა და აგარაკიც შენ დაგრჩებაო, მაგრამ გოგონამ უარი თქვა და კვლავ თავის ერთოთახიან ბინაში დარჩა. მეცნიერის ცოლი, ამ ამბიდან ორ წელიწადში, გულის შეტევით გარდაიცვალა, მისი ქონება კი ნათესავებმა გაინაწილეს და მეცნიერის შვილი არავის გახსენებია.

დაქალმა დაქალი ფეხსაცმლის ქუსლით მოკლა

ბათო ჯაფარიძე

როცა მკვლელობა სპონტანურად ხდება, მნიშვნელობა აღარ აქვს მკვლელობის იარაღს. ყველა იმას იყენებს, რაც პირველად მოხვდება ხელში და ამიტომ, მკვლელობის იარაღების ჩამონათვალი იმდენად მრავალფეროვანია, თვლა არ აქვს. მერე მიდის ექსპერტიზა, რით მოკლეს, როგორ მოკლეს, რა კუთხით ჩაარტყეს ესა თუ ის საგანი და ა.შ. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ ასეთ უცნაურ მკვლელობაზეა. სამართალდამცავებმა არ იცოდნენ, რა იარაღი გამოიყენა მკვლელმა, სანამ უშუალოდ დამნაშავე არ დააკავეს.

რატომ ფიგურირებს საქმეში ნორვეგიის მოქალაქე და რა გახდა მკვლელობის მიზეზი

მილიციის განყოფილებაში მამაკაცმა დარეკა და დამტვრეული რუსულით თქვა, რომ მისი საცოლე მოკლეს. იმის მიუხედავად, რომ შემთხვევა დასავლეთ საქართველოში მოხდა, ის სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილებას სასწრაფო წესით გადმოსცეს, რადგან საქმეში ნორვეგიის მოქალაქე იყო გარეული. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს საზარელი სურათი დახვდათ – საქორწინო კაბაში გამოწყობილი ქალი იატაკზე გარდაცვლილი ეგდო. ერთადერთი ჭრილობა ჰქონდა, შუბლის ცოტა ზემოთ. თავიდან სამართალდამცავებს იარაღით მოკლული ეგონათ, მაგრამ ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ქალს რაღაც ჩაარჭვეს – ცოტა მომრგვალებული და ცოტა წახნაგოვანი. დაზუსტებით ვერ ამბობდნენ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ, რკინის მილზე, არმატურის გადანაჭრელზე შეჯერდნენ, თუმცა ესეც სამუშაო ვერსია იყო და გადაჭრით ვერავინ ვერაფერს ამბობდა.

რაც შეეხება ნორვეგიის მოქალაქეს, როგორც მან თქვა, საქართველოში, სამუშაო ვიზიტით, ექვსი თვის განმავლობაში იმყოფებოდა, ქალი გაიცნო, მოეწონა, შეუყვარდა და ცოლობა შესთავაზა, რაზეც თანხმობა მიიღო. უშიშროების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ნორვეგიის მოქალაქე ბოლომდე შეისწავლეს, შეისწავლეს ქალიც, საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს და თანხმობა გასცეს. მამაკაცის მონაყოლით გაირკვა, რომ იმ დღეს, ქალთან, შინ უნდა გაევლო და მმაჩის ბიუროში წასულიყვნენ ხელმოსაწერად, შემდეგ კი, ნორვეგიელის ორ მეგობარსა და გარდაცვლილის ორ დაქალთან ერთად, რესტორანში უნდა აღენიშნათ. ქალის სახლში მისულს კი ასეთი სურათი დახვდა და მაშინვე მილიციაში დარეკა.

„ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი საქმე, რადგან ვერსაიდან მივუდექით. ნორვეგიის მოქალაქე წინდასავით ჰყავდათ ამობრუნებული და შესწავლილი, რაც მისი მხრიდან, რაიმე დივერსიულ ქმედებას გამორიცხავდა. გარდაცვლილის უახლოესი გარემოცვა ამბობდა, რომ ის ძალიან მშვიდი, მორიდებული და უწესიერესი ქალი იყო, ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობდა და მოკრძალებულად, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, თუმცა ერთ-ერთ პედაგოგს წამოსცდა, მაგ ქალს თავისი მეზობელი ეტრფოდა და ეგებ, ეგ კაცი მოიკითხოთო. ეს უკვე ვერსია იყო და ამიტომ, იმ კაცის ძებნა დავიწყეთ“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

კაცი მალე იპოვეს, თუმცა მისი პოვნა სამართალდამცავებს არ გახარებიათ. ის მივლინებით, დედაქალაქში იყო წასული და საყვარელი ქალის მკვლელობის შესახებ, სწორედ გამომძიებლებისგან გაიგო. ისეთი რეაქცია ჰქონდა, რომ ამას არაპროფესიონალი კი არა, რამაზ ჩხიკვაძე და ეროსი მანჯგალაძე ვერ შეასრულებდნენ. ალიბი ყოველი შემთხვევისთვის გადაამოწმეს, თუმცა გამოძიებამ უკვე იცოდა, რომ კაცი მკვლელი არ იყო – ხელი რომ არ შეეშალათ, თავსაც მოიკლავდა.

„ყველაზე მეტად იმან დამაინტერესა, თუ ასე უყვარდა უცოლო კაცს გაუთხოვარი ქალი, რატომ არ მოიყვანა ცოლად. ვერ ვუბედავდი, ისე მიყვარდაო, იმ უბედურმა და როცა გაიგო, რომ მისი სატრფო ნორვეგიელზე თხოვდებოდა, არ დაიჯერა, ბოლომდე სწამდა, რომ ქალი სწორედ მისი გახდებოდა და... არც არაფერი, მოკლეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა ლამის მთელი დასავლეთ საქართველო ამოატრიალეს. საქმრომ ისე, რომ მილიციასთან არ შეუთანხმებია, საკუთარი მივლინება კიდევ ორი კვირით გაიგრძელა, აქაოდა, სანამ საქმეს არ გახსნით, საქართველოდან ფეხის მომცვლელი არ ვარო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ ორ კვირაში საქმე არ გაიხსნებოდა, ნორვეგიელი საერთაშორისო სკანდალს ატეხდა და საბჭოთა მილიციის უნიათობაზე დაიწყებდა საუბარს. ამიტომ, გამომძიებლებმა ნორვეგიელი კიდევ ერთხელ, დეტალურად დაკითხეს და მან, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, მაგრამ გარდამტეხი მომენტი გაიხსენა. მისი მონაყოლიდან გაირკვა, რომ მკვლელობამდე, დაახლოებით, ერთი თვით ადრე, ის საცოლეს შინ ესტუმრა, სადაც მისი ორი დაქალი დახვდა. სწორედ ისინი, ქორწილის დღეს, მის გვერდით რომ უნდა ყოფილიყვნენ. ნორვეგიელს სამშობლოდან წამოღებული ვისკი ჰქონდა, მის გამოჩენას ქალები ისეთი ჟრიამულით შეხვდნენ, თავად წვეთი არ დაულევია და ეს აკრძალული, თუ იშვიათი სითხე, მთლიანად ქალებს დაანება. რა ძნელი მისახვედრია, რომ სამივე გვარიანად გამოთვრა. ნასვამი ქალების სახლებში დარიგება ნორვეგიელმა ითავა და ჯერ ერთი მიიყვანა, მერე – მეორე, თუმცა როცა მეორე დაქალი მიჰყავდა, მან მანქანის გაჩერება სთხოვა, მერე ავტომობილიდან გადმოვიდა, წელს ზემოთ გაშიშვლდა და კაცისკენ გაიწია. ნორვეგიელი გულწრფელად ამბობდა, ნასვამი რომ ვყოფილიყავი, ალბათ, თავს ვერ შევიკავებდი, ფიზიკურად ძალიან მაგარი ქალი იყო, მაგრამ მე ის კი არა, მისი მეგობარი მიყვარდაო.

ქალური შურის გამო, არაერთი დანაშაული მომხდარა და სამართალდამცავებს ეს ვერსია მისაღებად ეჩვენათ. სანამ თბილისიდან გამომძიებლები დასავლეთში ჩავიდოდნენ, შემთხვევის ადგილზე იქაური მილიციის თანამშრომლები მივიდნენ და სწორედ მათ გაიხსენეს, რომ მკვლელობის შემდეგ, იქ მხოლოდ ერთი დაქალი მივიდა, რადგან მას შინ არ გაუარეს და აინტერესებდა, რატომ აგვიანებდა ნეფე-პატარძალი. აი, მეორეს კი არც მოუკითხავს, მხოლოდ მოგვიანებით, რამდენიმე საათის შემდეგ გამოჩნდა ანუ გამოდიოდა, რომ მან იცოდა, დაქალი ცოცხალი აღარ იყო და ამიტომ, მშვიდად ელოდა მოვლენების განვითარებას.

„ეს ვერსია მძივივით კი აიკინძა, მაგრამ მთავარი მაკლდა – მტკიცებულება, რომელიც არ მქონდა და ვერსაიდან გამოვძერწავდი. იმასაც კი ვერ ვხვდებოდი, რაზე შეიძლებოდა წამომეკიდებინა ანუ რომ მქონოდა მკვლელობის სავარაუდო იარაღი, იმას მაინც ვეტყოდი, შენი თითის ანაბეჭდებია და აღიარე-მეთქი. ეგეც არ მქონდა, ექსპერტები ვერ მეუბნებოდნენ, რით იყო გაკეთებული შუბლში ის საბედისწერო ნახვრეტი და მართალია, ფოლადის მავთულისკენ ან არმატურის გადანაჭრელისკენ იხრებოდნენ, მაგრამ ვერ გავრისკავდი. უბრალოდ, ქალის თვალთვალი დავიწყეთ და მივხვდი, წყალს ვნაყავდი. ის ძალიან მშვიდად მიდიოდა სამსახურში, ასევე, მშვიდად ბრუნდებოდა, ჭორაობდა ეზოში, მეზობლებთან, სტუმრად თითქმის არ დადიოდა და არც არავის იღებდა. ჩვეულებრივი, შინაბერა ქალის ცხოვრებით ცხოვრობდა და ისიც გავარკვიეთ, რომ საყვარელი არასდროს ჰყოლია. ქალი, მართლაც, ეფექტური იყო, მიკვირდა, მანამდე რატომ ვერ გათხოვდა, ან იმ ნორვეგიელმა ეს რატომ არ აარჩია. ასე იყო თუ ისე, რამე უნდა მეღონა და ერთ დღესაც, ის დაკითხვაზე დავიბარე. ვფიქრობდი, საუბრის დროს, რამე შეცდომას დაუშვებდა და გამოვიჭერდი, მით უმეტეს, როცა უწყება, ჩემი მოთხოვნით, მხოლოდ ხელიდან ხელში გადასცეს, ის ძალიან ანერვიულდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაკითხვა თითქოს ნორმალურად მიმდინარეობდა, ქალი პასუხებს დაბნეულად იძლეოდა, მაგრამ მალევე მოვიდა აზრზე, დალაგდა და გამომძიებელი მიხვდა, რომ ხელიდან გაურბოდა. თუ პირველივე დაკითხვაზე ვერ გამოიჭერდა, მეორე დაკითხვას აზრი დაეკარგებოდა. დაკითხვის დროს, ოთახში ექსპერტი შევიდა, გამომძიებელთან სხვა საქმის დასკვნა შეიტანა, ლამაზი ქალის ჯიშიანი ფეხები ხარბად აათვალიერ-ჩაათვალიერა და გავიდა, თუმცა კართან დატრიალდა და ქალს ფეხებზე დააკვირდა. გამომძიებელმა შეუბღვირა, მაგრამ მიხვდა, ფეხების სილამაზეზე მეტად, ექსპერტი სხვა რამით დაინტერესდა. მორიგესთან ერთად, ქალი ოთახში დატოვა, თავად კი ექსპერტთან განმარტოვდა. ნახევარ საათში, მილიციას ქალის ბინის ჩხრეკის ორდერი ხელში ეჭირა.

„ბინის კარი გავაღეთ, ორი ნაბიჯი შევდგით და წინ აღარც წავსულვართ. ექსპერტმა ხელის ერთი მოსმით მოაგროვა ქალის ფეხსაცმელები და ლაბორატორიაში გაბრუნდა. ერთ საათში, ხელში მკვლელობის იარაღი – ქალის ქუსლიანი ფეხსაცმელი მეჭირა. სწორედ ეს ფეხსაცმელი შევიტანე დაკითხვის ოთახში და მაგიდაზე დავდე. ქალმა დახედა, ერთი ამოიხვნეშა და დაიწყო:

„თავადაც ხვდებით, რომ მეგობრებში ყველას ვჯობივარ. რჩევა-რჩევაში, გასათხოვარი დავრჩი და მაინც ჯიუტად ვარჩევდი მამაკაცებს. ეს ნორვეგიელი რომ დავინახე, ვიფიქრე, მეშველა-მეთქი, მაგრამ ის შტერი ჩემს დაქალზე გადაირია. ყველაფერს უსრულებდა, ნორვეგიაში უპირებდა წაყვანას. ვერ ავიტანე, ვერ მოვერიე თავს... ამან კიდევ, მეჯვარედ მინდიხარო. ქორწილის დღეს, დილით გავედი, ბრილიანტის უზარმაზარი ბეჭედი მაჩვენა, ეს მაჩუქაო და მანდ გადამეკეტა. ყველაფერი ეს, ჩემი უნდა ყოფილიყო. მოკვლას არ ვაპირებდი, ფეხზე ინსტიქტურად გავიხადე და ინსტიქტურადვე ჩავარტყი თავში. რკინის ქუსლი აქვს, ალბათ, ძალიან ძლიერად მომივიდა. ერთი დაიკვნესა და დაეცა. რას ვიზამდი? ამოვიცვი ფეხსაცმელი და შინ წავედი“, – დაასრულა ქალმა მოყოლა.

საბჭოთა სასამართლო ქალების მიმართ ყოველთვის ჰუმანური იყო. ასე განსაჯეთ, საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში, 15 რესპუბლიკის პირობებში, ოფიციალურად, მხოლოდ ოთხ ქალს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

დაქალის მკვლელს 12 წელი ერგო.

ბათო ჯაფარიძე

მკვლელობა რუსთავში – ახალგაზრდა ქალს თავის ქალა ქვით ჩაუმტვრიეს

ძალადობა, ქალის ჩაგვრა – ეს ის ტერმინებია, რომლებიც ბოლო დროს დამკვიდრდა. უფრო ზუსტად კი, ადრეც იყო, მაგრამ ნაკლებად ისმოდა, რადგან ოჯახური ძალადობის გახმაურებას, ასევე, ქალების ჩაგვრისა თუ ფიზიკური ზეწოლის აღნიშვნას ერიდებოდნენ. ბულინგი კი ახალი ტერმინია. ამის გამო, ადრე ბევრი დანაშაული იჩქმალებოდა და რაც მთავარია, ბევრი მოძალადე დაუსჯელი რჩებოდა.

რა ჩვენება მისცა მოკლულის არასრულწლოვანმა შვილმა გამოძიებას

80-იანი წლების დასაწყისში, ზაფხულის ერთ საღამოს, რუსთავში, გამვლელებმა, კორპუსის გვერდით, გარდაცვლილი ქალი იპოვეს. ქალს თავის ქალა ბლაგვი საგნით ჰქონდა ჩამტვრეული და მთელი სახე ისე ჰქონდა სისხლით მოსვრილი, ვერავინ იცნობდა. კრიმინალისტები და სასწრაფო დახმარების მანქანა ადგილზე დროულად მივიდა, თუმცა ექიმს პულსი არც კი გაუსინჯავს – თავის ქალიდან გადმოსული რუხი მასა აშკარად მიანიშნებდა, რომ ქალს გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. იქვე ეგდო მკვლელობის იარაღიც – მოზრდილი ქვა, რომელსაც ბოლოსკენ, თითქოს, წვეტი ჰქონდა და, სავარაუდოდ, სწორედ ეს წვეტი მოხვდა გარდაცვლილს.

ახლო-მახლო კორპუსების მაცხოვრებლები მოგროვდნენ, თუმცა სახეზე სისხლის გამო, ვერავინ ამბობდა, გარდაცვლილი ვინ იყო. გამომძიებლის მითითებით, ექიმმა ქალს სახე სპირტიანი ბინტით მოსწმინდა და ერთბაშად რამდენიმე ადამიანს გაოცების ამოძახილი აღმოხდა. გარდაცვლილში მეზობელი ქალი იცნეს, მაგრამ ყველამ ლამის ერთდროულად თქვა – ის ეტლში იჯდა.

სამართალდამცველთათვის ეს ინფორმაცია მოულოდნელი იყო. როგორ? – ეტლში მჯდომი ქალი, თავისი ფეხით გამოვიდა ვიღაცასთან შესახვედრად და მოკლეს? თუმცა ეტლიც რომ არსად იყო? ქალს კი ფეხსაცმელი ეცვა, მართალია, ნაკლებად გაცვეთილი, მაგრამ აშკარა გახლდათ, რომ აღნიშნული ფეხსაცმლით ის მოძრაობდა, რადგან სახლის გვერდით, მიწიანი ადგილი იყო და ფეხსაცმელზე მიწა ჰქონდა მიკრული.

„ვადასტურებ, რომ ჩემი ცოლი, ოთხი წლის წინ, უბედური შემთხვევის შედეგად, ეტლში ჩაჯდა და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო. არ ვიცი, როგორ მოხვდა ეზოში ისე, რომ ეტლი სახლში დარჩა, ვინ ჩაიყვანა და როგორ“, – ეს არის ამონარიდი ქმრის ჩვენებიდან.

ოჯახის მესამე წევრი, 7 წლის გოგონა კი დედის სიკვდილის გამო შოკში იყო და ხმას ვერ იღებდა. ექიმები მაქსიმუმს აკეთებდნენ პატარას მდგომარეობიდან გამოსაყვანად, თუმცა ის ჯიუტად უყურებდა ერთ ადგილს და კრინტს ვერ ძრავდა.

იმის მიუხედავად, რომ ზაფხულის საღამოს, წესით, გარეთ ბევრი ხალხი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც, მაინც არავის დაუნახავს, როგორ ჩაარტყეს ქალს თავში ქვა. მეზობლები ამბობდნენ, რომ საეჭვო და უცხო არავინ შეუნიშნავთ. იმავე მეზობლების მტკიცებით, ქმარს ცოლი სიგიჟემდე უყვარდა და ინვალიდობის მიუხედავად, ხელის გულზე ატარებდა, ეჭვიანობის საბაბი არასოდეს მიუცია.

ერთი ეგ იყო, დაახლოებით, სამი თვის წინ, კაცის თანამშრომელი ქალი ეწვიათ სტუმრად და ეს ამბავი მეზობლებმაც გაიგეს. იმ თანამშრომელმა ეტლში მჯდომს უთხრა, შენს ქმარს ტვირთად რომ არ აწვე, ცოლად მე მომიყვანდაო, თუმცა მეზობლები რისი მეზობლები იქნებოდნენ, ბოლომდე რომ არ გაერკვიათ – ქალი კაცს მოსვენებას არ აძლევდა, დატოვე ეგ შენი ხეიბარი ცოლი და მე შემირთეო, მაგრამ კაცი ცოლს არ ღალატობდა.

ახალი ვერსია გამოძიებისთვის ახალი ძაფი იყო. თანამშრომელი ქალი მალე მოძებნეს, მაგრამ ამაოდ – ის ორი კვირის გათხოვილი იყო, ქმართან ერთად, თავს გადასარევად გრძნობდა და ეტლს მიჯაჭვული მეტოქე საერთოდ არ ახსოვდა. კითხვა, ვის შეიძლებოდა მოეკლა ქალი, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, მხოლოდ ქმრის დახმარებით ტოვებდა სახლს და რაც მთავარია, როგორ მოხვდა ის ეზოში, ეტლის გარეშე, პასუხგაუცემელი რჩებოდა. რაც მთავარია, სახლიდან დაკარგული არაფერი გახლდათ ანუ ვიღაცას ყველაფერი ეს, ქურდობისა და კვალის არევის მიზნით რომ განეხორციელებინა, რამე ხომ უნდა წაეღო? მილიციისთვის, სამწუხაროდ, მთავარ ეჭვმიტანილად ისევ ქმარი იქცა. მისი ალიბი მეათასედ გადაამოწმეს, თუმცა საეჭვო ვერაფერი ნახეს.

დაიწყეს იმის გარკვევა, როგორ დაინვალიდდა ქალი და საინტერესო დეტალიც გაარკვიეს.

როგორც მეზობლები ამბობდნეენ, ოთხი წლის წინ, გარდაცვლილს, ერთი სართულით ზემოთ მცხოვრებ მეზობლის ბიჭთან კამათი მოუვიდა. ბიჭმა ხელი ჰკრა, ქალი კიბეზე დაგორდა, ხერხემალი დაიზიანა და ეტლს მიეჯაჭვა, თუმცა შემდეგ, დაზარალებულმა გადათქვა და სამართალდამცავებს უთხრა, რომ ფეხი თავად დაუცდა. მეზობელი პასუხისმგებლობას გადარჩა და რადგან გამოძიებას მეტი არავინ ჰყავდა დასაკითხი, მეზობლის ბიჭს მიადგნენ.

„მკვლელობის შესახებ უბანში გავიგე, მეზობლებისგან. შემეცოდა, კარგი ქალი იყო. ადრე ისე მოხდა, თითქოს მე დამბრალდა მაგის ეტლში ჩაჯდომა, მაგრამ მერე თავად ქალმა აღიარა, რომ კიბეზე ფეხი დაუცდა და ამის გამო, პატივს ვცემდი, ტყუილად ციხეში რომ არ გამიშვა“, – მოკლედ მოჭრა მეზობლის ბიჭმა.

სამართალდამცავებს ყველა გზა მოეჭრათ. გარდაცვლილს არ ჰყავდა მტერი, მის ქმარს სამსახურში, ყველა დადებითად ახასიათებდა. ყველა ამბობდა, რომ ცოლის ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, კაცი არ ღალატობდა, უწესიერესი და უპატიოსნესი იყო, ცოლ-შვილს გადაყოლილი და მუდმივად იმას ამბობდა, შინაგანად მჯერა, რომ ჩემი ცოლი გაივლისო.

ერთადერთი იმედი, რაც გამოძიებას შერჩა, ბავშვი იყო. მართალია, ექიმები უიმედოდ იყვნენ და აცხადებდნენ, რომ ბავშვს, შესაძლოა, საერთოდ ვეღარ ამოეღო ხმა და ვერასდროს მოეხერხებინა ნორმალური აზროვნება, მაგრამ სამართალდამცავებს ეჭვი ჰქონდათ – ბავშვმა რაღაც დაინახა, დაინახა მკვლელი, ან საერთოდ, იცნო. ამიტომ, მოთმინებით ელოდნენ მის გამოჯანმრთელებას.

დაახლოებით, ორი თვის შემდეგ, უშიშროების კომიტეტმა ბავშვთა ფსიქოლოგების გადამზადებას სერიოზულად მოჰკიდა ხელი. გარდა იმისა, რომ ამ საქმისთვის, თითქმის, მხოლოდ ქალებს არჩევდნენ, შერჩეული ქალბატონი სანდომიანი სახის უნდა ყოფილიყო, რომელსაც ხმის თბილი ტემბრი ექნებოდა. ერთ-ერთი ასეთი ქალი „პრაქტიკაზე“, სწორედ იმ ბავშვთან გაუშვეს. უშიშროების თანამშრომელმა მეოთხე დღეს თქვა, რომ გოგონას აუცილებლად აალაპარაკებდა, ათი დღის შემდეგ, ისინი ტკბილად მუსაიფობდნენ, თუმცა ძალოვნები მაქსიმალურად ფრთხილობდნენ – ერთ არასწორ ფრაზას ან არასწორ კითხვას, შესაძლოა, ყველაფრისთვის ხაზი გადაესვა. უშიშროების ფსიქოლოგს იმდენი უნდა მოეხერხებინა, რომ ბავშვს რაღაც მინიშნებით მაინც ეთქვა და იმ საღამოს ნანახზე საუბარი თავად დაეწყო. დრო გადიოდა, ბავშვი საუბრობდა ყველაფერზე, მაგრამ არ ახსენებდა არც დედას და არც – მამას. სამართალდამცავებმა იეჭვეს, რომ საქმეში მამა იყო გარეული, მას თვალთვალიც დაუწყეს, მაგრამ არ ეუბნებოდნენ, რომ მისი შვილი გამოჯანმრთელების გზას ადგა. მამის მოულოდნელი ვიზიტის შედეგად კი, ყველაფერი გაირკვა.

ერთ დღეს, მამამ შვილს მიაკითხა და როგორც წესი, ჯერ ექიმთან შევიდა. ექიმი არ დახვდა, ამიტომ პირდაპირ პალატისკენ აიღო გეზი და ჩუმად შეიხედა. როგორც კი შვილმა მამას თვალი მოჰკრა, მაშინვე მისკენ გაქანდა, წელზე შემოეხვია, ატირდა და ბოლო ხმაზე ყვიროდა:

„მამა, მაპატიე, მამა, მაპატიე...“

ვერც ექიმები, ვერც ექთნები, ვერც უშიშროების ფსიქოლოგი და რაც მთავარია, ვერც მამა, ვერაფერს მიხვდნენ. კაცმა შვილი კალთაში ჩაისვა, მიიხუტა და მშვიდად ჰკითხა, პატიებას რისთვის მთხოვო?! ბავშვმაც დაიწყო:

„დაახლოებით, ორი თვის წინ, დედამ პირველად იგრძნო ფეხებში ძალა. მე სახლში ვიყავი, სიხარულისგან ვტიროდით, მაგრამ ამიკრძალა შენთვის მეთქვა, ჩვენი ქორწინების წლისთავზე უნდა ავდგე ფეხზე, მანამდე უნდა მოვძლიერდეო. როცა მარტონი ვიყავით, დედა ვარჯიშობდა, ოთახიდან ოთახში წვალებით გადაადგილდებოდა, ბოლოს კი, ნორმალურად სიარულიც დაიწყო. წლისთავი ძალიან მალე უნდა ყოფილიყო და ამიტომ არ იჩქარა. იმ საღამოს ფანჯრიდან გადაიხედა, დაინახა, რომ ჩვენი მეზობელი ბიჭი, ვიღაც გოგოს აგინებდა, მერე სახეში ხელი გაარტყა. დედამ მითხრა, მაშინ დავინდე, ამან მკრა ხელი, ამის გამო ჩავჯექი ეტლში, ახალგაზრდა კაცს ცხოვრება არ დავუნგრიე, თან მჯეროდა, ავდგებოდიო. მეგონა, გამოსწორდებოდა, ეგ კიდევ ისევ ქალებს ურტყამსო და სახლიდან გავარდა. მე ფანჯრიდან ვუყურებდი, დავინახე, როგორ მივიდა იმ ბიჭთან, როგორ გააწნა სილა, როგორ აიღო იმან ქვა და თავში ჩაარტყა. მერე, შენს დანახვამდე, აღარაფერი მახსოვს. მაპატიე მამა, ადრე რომ არ გითხარი, დედას სიარული რომ შეეძლო...“

ცოტა არეულ-დარეულად, ტირილით, მაგრამ ბავშვმა აზრი, დაახლოებით, ასე ჩამოაყალიბა. სამართალდამცავებმა მეზობლის ბიჭი დააკავეს, ძველი ამბავიც წვრილად მოაყოლეს, ის გოგოც იპოვეს, თურმე, საცოლე ყოფილა და კაბის სიგრძის გამო სჯიდა...

სასამართლომ ლამის გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, რადგან ბრალდების მხარეს მოწმედ მხოლოდ პატარა გოგონა ჰყავდა, მაგრამ უშიშროებას კარგი ფსიქოლოგების გარდა, კარგი „ბიჭებიც“ ჰყავდა და მათ იმდენი მოახერხეს, რომ ბოლოსწინა სხდომაზე, დაკავებულმა აღიარებითი ჩვენება მისცა. ყველას გასაოცრად, ის დახვრეტას გადარჩა და სასამართლომ მხოლოდ 15 წელი აკმარა.

მოსკოვის სასამართლო „მახო ტბილისკის“ გაასამართლებს



კრიმინალურ სამყაროში უმაღლესი იერარქიული სტატუსის, ე.წ. „კანონიერი ქურდის“ წოდების გამო, მოსკოვის სასამართლო კიდევ ერთ პირს გაასამართლებს. დაკავებულია თბილისში დაბადებულ-გაზრდილი, ეროვნებით იეზიდი, მალხაზ დარჩიევი, იგივე, „მახო ტბილისკი“.

როგორც რუსული მედია იუწყება, დარჩიევი ასლან უსოიანის (იგივე, „დედ ჰასანი“) და შაქრო კალაშოვის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო. კალაშოვის დაკავების შემდეგ, მოსკოვის გარდა, „მახო ტბილისკი“ ულიანოვსკის, სვერდლოვსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქებს აკონტროლებდა.

არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ დაკავებულის ექსტრადაცია საქართველოში მომხდარიყო და აქ გაესამართლებინათ, მაგრამ მისმა ადვოკატებმა რუსეთში გასამართლება მოითხოვეს. ერთი შეხედვით, ეს გადაწყვეტილება გაუგებარია, რადგან რუსული კანონმდებლობით, ე.წ. „კანონიერი ქურდობა“, მინიმუმ 10-წლიანი სასჯელით ისჯება მაშინ, როცა ანალოგიურ დანაშაულზე, საქართველოში, მაქსიმუმ 7 წელს აძლევენ.

პატიმარი №0578

საქართველოსა და ლიეტუვას შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ვიდეოკონფერენციის ფორმატის შეხვედრა გამართა ლიეტუვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან, აგნე ბილოტაიტესთან.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის თანამშრომლობას 2021-2022 წლებში.

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ დოკუმენტით განსაზღვრულ სფეროებში, როგორებიცაა: საგანგებო სიტუაციების მართვა, პროფესიული განათლება, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, საგზაო უსაფრთხოება და სხვა, თანამშრომლობას განახორციელებენ საერთო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის, გამოცდილების გაზიარების, სამუშაო ვიზიტებისა და ტრენინგების ორგანიზების გზით.

შეხვედრაზე აღინიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობები და ლიეტუვას ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მხრივ.

ვიდეოკონფერენციაში მონაწილეობდნენ ლიეტუვას რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი, ლევან ღვაჩლიანი და საქართველოში ლიეტუვას რესპუბლიკის ელჩი, ანდრიუს კალინდრა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, ე.ა., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბათუმში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა და ამჟამად პატიმრობაში მყოფმა მისმა ექვსმა თანამზრახველმა, 2021 წლის 12 აპრილს, ქალაქ ქუთაისში, გუმათჰესის დასახლებაში, ნამახვანჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ყოფნისას, ჯგუფურად იძალადეს და ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს აქციაზე მყოფ სამ პირს, ასევე, დააზიანეს ერთ-ერთი დაზარალებულის კუთვნილი ავტომანქანა.

ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ფაქტზე, ე.ა.-ს მიმართ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1975 წელს დაბადებული დ.კ., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული შრომით ექსპლუატაციას უწევდა მეუღლის არასრულწლოვან დისშვილებს, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის გამოყენებით, მოწყალების თხოვნის და წვრილმანი ნივთების გაყიდვის გზით, თანხის შეგროვებას და მისთვის გადაცემას აიძულებდა, მისი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მათ ფიზიკურად უსწორდებოდა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 143 პრიმა-ორი მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებულ შრომით ექსპლუატაციას გულისხმობს.

პოლიციამ ქუთაისში სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გაქურდვის ფაქტი აღკვეთა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2003 წელს დაბადებული გ.ჩ., ქურდობის მცდელობის ფაქტზე, ქუთაისში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ორ თანამზრახველთან ერთად, ქუთაისში, აკაკი წერეთლის ქუჩაზე, „თიბისი ფეის“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გაქურდვა სცადა, რა დროსაც პოლიციამ იგი შემთხვევის ადგილზე დააკავა, ხოლო მისმა თანამზრახველებმა გაქცევა მოახერხეს. სამართალდამცველებმა გ.ჩ.-ის თანამზრახველების იდენტიფიცირება მალევე მოახდინეს. მათი დაკავების მიზნით, ტარდება შესაბამისი საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-177 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის მცდელობას გულისხმობს.

პოლიციამ ფონიჭალაში, წითელი ხიდის მაგისტრალზე და ლილოში 10 ნარკორეალიზატორი დააკავა – ამოღებულია 7 კილოგრამამდე „ჰეროინი“

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 10 პირი დააკავეს, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, გიორგი ლილუაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.

1988 წელს დაბადებულ რ.ა.-ს, 1973 წელს დაბადებულ ჰ.ფ.-ს, 1996 წელს დაბადებულ ე.ე.-ს, 1971 წელს დაბადებულ რ.ე.-ს, 1985 წელს დაბადებულ გ.თ.-სა და 1996 წელს დაბადებულ ი.ჯ.-ს, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება ედებათ ბრალად. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ფული და მობილური ტელეფონები ნივთმტკიცებად ამოიღო. რაც შეეხება 2001 წელს დაბადებულ ი.ი.-სა და 1988 წელს დაბადებულ გ.ა.-ს, სამართალდამცველებმა ისინი წითელი ხიდის ავტომაგისტრალზე იმ დროს დააკავეს, როდესაც მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ავტომანქანით გადაჰქონდათ. პოლიციამ, დაკავებულების პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 6 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღო.

წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-4 ნაწილით, ასევე, მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

სამართალდამცველებმა თბილისი-რუსთავი-წითელი ხიდის საავტომობილო მაგისტრალზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, პირადი ჩხრეკა ჩაუტარეს 1967 წელს დაბადებულ ე.ფ.-ს, რომლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და ფული. პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის, ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, კიდევ ერთი პირი დააკავა. ბრალდებულის სახით დაკავებულია 1960 წელს დაბადებული ზ.ბ., რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია „ჰეროინის“ შემცველი 1 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

სტეფ კარიმ ისტორია გადაწერა

ამერიკული „გოლდენ სტეიტის“ კალათბურთელი, სტეფ კარი საოცარ სეზონს ატარებს. მის მიერ კალათისკენ ნასროლი ბურთი მიზანს, პრაქტიკულად, არ სცდება და მეტოქეები მის შეჩერებას ამაოდ ცდილობენ.

გასულ უქმეებზე, NBA-ს მორიგ ტურში, კარიმ კვლავ საუცხოოდ იასპარეზა და მორიგი ქულები მოიპოვა. სპეციალისტებმა კი დათვალეს და გაარკვიეს, რომ აპრილში, კარის ანგარიშზე, საერთო ჯამში, 85 ზუსტი სამქულიანი სროლაა, რაც NBA-ს ისტორიაში, ყველა დროის საუკეთესო შედეგი გახლავთ. აპრილში, მის გუნდს კიდევ რამდენიმე შეხვედრა აქვს გასამართი და ამ ფენომენალურ შედეგს, კარი აუცილებლად გაზრდის.

ჰო, ისე, ცნობისთვის – მისი წლიური ჯამაგირი 50 მილიონ დოლარს აჭარბებს.

სუპერლიგა ფეხბურთს დაასამარებს?

გასულ კვირას, ევროპის უმდიდრესმა კლუბებმა ახალი ტურნირი დააფუძნეს და მას სუპერლიგა დაარქვეს. სუპერლიგაში გაწევრიანებას ხელი ინგლისურმა „მანჩესტერ სიტიმ“, „მანჩესტერ იუნაიტედმა“, „ტოტენჰემმა“, „ლივერპულმა, „ჩელსიმ“, „არსენალმა“, ესპანურმა „ატლეტიკომ“, „რეალმა“ და „ბარსელონამ“, იტალიურმა „მილანმა“, „ინტერმა“ და „იუვენტუსმა“ მოაწერეს. გრანდების გადაწყვეტილებამ უეფა და ფიფა შოკში ჩააგდო და მათ რადიკალური ზომების გატარება გადაწყვიტეს. სუპერლიგის პრეზიდენტად „რეალის“ შეფი, ფლორენტინო პერესი აირჩიეს და ახლა, სწორედ პერესის წინააღმდეგაა ყველა ისარი მიმართული.

„კლუბებს კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, კარგად დაფიქრდნენ. თუ ისინი სუპერლიგას არ გააუქმებენ, მათ აეკრძალებათ ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობა, აეკრძალებათ ჩემპიონთა და ევროპა ლიგაზე თამაში, ხოლო იქ მოასპარეზე ფეხბურთელებს აეკრძალებათ ეროვნულ ნაკრებებში გამოსვლა“, – ასეთია უეფას ვერდიქტი.

ამ უმწვავესმა რეაქციამ კლუბები დააფრთხო და რამდენიმე მათგანმა ლიგის დატოვება გადაწყვიტა, მაგრამ საქმეში უკვე პერესი ჩაერთო და შეშინებული გუნდების შეფებს შეახსენა, ხელმოწერილ დოკუმენტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, სუპერლიგიდან გამსვლელ გუნდს 150 მილიონი ევროს ჯარიმა ეკისრება.

„ყველა ხვდება, რომ ჩემპიონთა ლიგა დაძველდა და რაღაც ახალია საჭირო. ეს ახალი კი სუპერლიგაა“, – აცხადებს პერესი. რეალურად კი, თუ სუპერლიგა მართლაც დაკანონდება, ეს იმას ნიშნავს, რანგით დაბალი კლუბები იქ ვერასოდეს ითამაშებენ. რატომ? – იმიტომ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გრანდები სუპერლიგის მუდმივმოქმედი წევრები არიან და ყოველწლიურად, მხოლოდ ერთმანეთში გააგორებენ ბურთს. საგულისხმოა, რომ სუპერლიგაში გაწევრიანებაზე, ყველა გერმანულმა და ფრანგულმა კლუბმა უარი განაცხადა.

პანდემია ფეხბურთელებს არ ეხება

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო დაპაუზებულია და, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით სერიოზული კრიზისია, ფეხბურთელები შემოსავლების კლებას აშკარად არ უჩივიან. 2020 წელი, რომელიც რთული იყო, მათ ძალიან მარტივად გადაიტანეს და კვლავ სოლიდური თანხები მიიღეს. როგორც მოსალოდნელი იყო, შემოსავლების მიხედვით, სამეული არ შეცვლილა, შემდეგ კი სერიოზული ვარდნაა. არის ლიონელ მესი, კრიშტიანუ რონალდუ, ნეიმარი და სხვა დანარჩენებიც არიან. აღნიშნული თანხები, ხელფასს პლუს ბონუსები და სარეკლამო კონტრაქტების შემოსავალია. მაშ ასე, 2020 წელს, ყველაზე მეტი შემოსავალი შემდეგმა ათეულმა მიიღო:

ლიონელ მესი (ბარსელონა) – 125 მილიონი ევრო;
კრიშტიანუ რონალდუ (იუვენტუსი) – 118 მლნ;
ნეიმარი (პარი სენ ჟერმენი) – 98 მლნ;
გარეთ ბეილი (რეალი/ტოტენჰემი) – 37 მლნ;
ანდრეს ინიესტა (ვისელ კობე) – 34 მლნ;
ედენ აზარი (რეალი) – 32 მლნ;
რაჰიმ სტირლინგი (მანჩესტერ სიტი) – 32 მლნ;
კილიან მბაპე (პარი სენ ჟერმენი) – 32 მლნ;
რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი) 30 მლნ;
ანტუან გრიზმანი (ბარსელონა) – 28 მლნ.

დათუნაიშვილის ტრიუმფი და.. კრახი

მოჭიდავეთა შორის გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სერბეთის სახელით მოასპარეზე ზურაბ დათუნაიშვილმა, ოქროს მედალი არავის დაუთმო. კარგად გემახსოვრებათ, დათუნაიშვილი საქართველოდან მას შემდეგ წავიდა, რაც ფედერაციის პრეზიდენტთან, გეგა გეგეშიძესთან უთანხმოება მოუვიდა და საქმე ხელჩართულ ჩხუბამდეც მივიდა. გამარჯვების შემდეგ, სოციალურ ქსელში, დათუნაიშვილს გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა წარმატებას ულოცავდა და ფედერაციას ამუნათებდა, ეს ოქროს ბიჭ როგორ გაიმეტეთ და გააგდეთო, თუმცა გამარჯვებიდან მეორე დღეს, ოქროს მედალოსანმა ერთ-ერთ არხს ინტერვიუ მისცა და...

„პირველ რიგში, მინდა, ეს გამარჯვება ჩემს მუსლიმ ძმებს მივუძღვნა, წულუკიძეებსა და მის სამეგობროს ვგულისხმობ. მათ პროვოკაცია მოუწყვეს და უკანონოდ არიან დაკავებულები. ბიჭები, რომლებიც მთელი საქართველოს წესიერების მაგალითი უნდა იყვნენ, დღეს, ციხეში უკანონოდ სხედან. რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება ასევე ეძღვნება ნიკა მელიას, რომელიც დღეს, საქართველოში, თავისუფლების იდეის მატარებელია და ზუსტად ამისთვის ზის გლდანის საპყრობილეში. ჩემი გამარჯვებით, მსურს, ამ ხალხს ეს მძიმე წუთები ცოტათი მაინც შევუმსუბუქო. მინდა ქართველ ხალხს გულშემატკივრობისთვის მადლობა გადავუხადო. მადლობას ვუხდი სერბებს, რომლებიც გვერდში დამიდგნენ“, – თქვა დათუნაიშვილმა.

ამის შემდეგ, მოჭიდავის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და ამჯერად გულშემატკივართა უმრავლესობამ მას განცხადება დაუწუნა. საუბარი არ არის იმაზე, რომელ პოლიტიკოსს მიუძღვნა გამარჯვება ზურამ. გულშემატკივრები იმაზე აპელირებდნენ, რომ მოქმედი სპორტსმენი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს და გამარჯვებას კონკრეტულ პოლიტიკოსებს არ უნდა უძღვნიდეს. ასე, 180 გრადუსით შეიცვალა დამოკიდებულება სულ ერთი ფრაზის გამო.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენმა ბიჭებმა ტურნირი 4 მედლით დაასრულეს. ჩემპიონი შმაგი ბოლქვაძე (-72 კგ) გახდა, ვერცხლის მედალი იაკობ ქაჯაიას ერგო (-130 კგ), ხოლო ბრინჯაოს მედლები აივენგო რიკაძემ (-82 კგ) და ლერი აბულაძემ (-63 კგ) მოიპოვეს.

კვირკველია რუსული პრემიერლიგის „რეკორდსმენია“

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი, საბა კვირკველია მოსკოვის „ლოკომოტივს“ კი ეკუთვნის, მაგრამ იჯარის წესით, ვოლგოგრადის „როტორში“ თამაშობს. გასულ უქმეებზე, ვოლგოგრადელებმა გათამაშების ლიდერს, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ უმასპინძლეს და 6:0 წააგეს. ექვსიდან ერთი ბურთი, საკუთარ კარში, ქართველმა მცველმა ჩაჭრა.

„ამ გოლით, საბა რუსული პრემიერლიგის რეკორდსმენი გახდა. სხვადასხვა დროს, მას საკუთარ კარში 5 ავტოგოლი მოუგროვდა და ამ მაჩვენებლით პირველია“, – წერს რუსული მედია.

ისე, სიაში სამი ავტოგოლით, უახლოეს წარსულში რუსეთში მოთამაშე კიდევ ერთი ქართველი, ალეკო ამისულაშვილია.

მამაკაცების ტყვე

ვანო სირადეღიანი – ცნობილი სომეხი პროზაიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა 1946 წელს. 90-იან წლებში, ის დამოუკიდებელი სომხეთის ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი ლიდერი და ქალაქ ერევნის ყოფილი მერი იყო. მეტიც, სომხეთის პოლიციის ყოფილი უფროსიც გახლდათ.
მისი პიროვნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება ურთიერთგამომრიცხავია, რადგან ნაწილი – საუკეთესო პროზაიკოსად და პოლიტოლოგად მიიჩნევს, ხოლო ნაწილი – თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და მოქალაქეების დევნაში ადანაშაულებს. 2000 წლიდან, მასზე გამოცხადებულია ძებნა და მიმალვაში იმყოფება. დღემდე, ვანო სირადეღიანის მოთხრობები ქართულ ენაზე არ თარგმნილა და არ გამოქვეყნებულა.
ახლახან, რამდენიმე საინტერესო მოთხრობა თარგმნა გელა გელაშვილმა, რომელსაც „არტ ვერსია“ ექსკლუზიურად, პერიოდულად შემოგთავაზებთ. მადლობა ავტორს, თანამშრომლობისთვის.

ერთ დღეს, ამდენი წლის განმავლობაში ჩავლილი მატარებლებიდან ერთ-ერთში ჩაჯდებოდა და ჯანდაბაში გადაიკარგებოდა. სასადილოდან სადგურის ბაქანი რამდენიმე ნაბიჯზე იყო. დღეში, ერთი მიმართულებით ოთხი სამგზავრო მატარებელი დადიოდა და ოთხიც – საპირისპიროდ. შავი დღისთვის მცირეოდენი ფული ჰქონდა გადანახული. თან წაიღებდა და ყველაფერ დანარჩენს მიაფურთხებდა – ცოტა ფული, ერთი ჩემოდანი და თავისი ახალგაზრდობა საკმარისი იქნებოდა, რომ ახალი ცხოვრება დაეწყო.

ოცდათხუთმეტი წელი, ეს დღე მის წინაშე იდგა და მიუხედავად იმისა, რომ დღე დღეს მოსდევდა, ამდენი დროის განმავლობაშიც კი ვერ მოახერხა სასადილოდან ბაქნამდე მისვლა.

ახლა უკვე გვიანი იყო. დიდი ხანია გვიანი იყო. ცხოვრებაში ყველაფერს თავისი დრო აქვს. გამგზავრებასაც თავისი დრო აქვს. ზურგის ქარს მზად უნდა დახვდე – ბაბუაწვერასავით პარაშუტმომარჯვებული, მსუბუქი, თავისუფალი და რომელიმე ადგილზე აღმოცენების ინსტიქტით აღსავსე... მაგრამ, იცი კი, რომელია შენი ქარი? შენ პოულობ მას თუ პირიქით? ან იქნებ, შენ ის ეკალი ხარ, რომელიც ადამიანებისგან დაწყევლილ მდელოსა და მდინარის ნაპირებზე გართხმული იზრდება, რომელიც მგელსა და ნადირსაც კი არ ეკვრის ფეხზე...

დახლზე იდაყვებით ჩამოყრდნობილი და გაშლილ ხელისგულებს შორის მოქცეული სახით, ორმოცდაათს გადაცილებული ქალი, რკინიგზის სასადილოს ფანჯრებიდან, ბაქანზე ჩამომდგარ ღამის მატარებლებს უცქერდა. ვაგონებიდან ნაზი შუქი გამოჰკრთოდა. შუშებს მიღმა, გარეთ მომზირალი, ძილმორეული, მშვიდი სახეები მოჩანდა, რომლებიც ხედავდნენ ან ვერ ხედავდნენ მებუფეტე ქალს, სასადილოს მაგიდასთან მთვლემარე მთვრალ მოხუცს, ბაქნის შუქზე მოქანავე შუაღამის ქარიან სადგურს და მთქნარებამორეულ მორიგეს, რომელსაც სასიგნალო ალამი უადგილო თავაზიანობით სახეზე აეფარებინა. მათ ესმოდათ ან არ ესმოდათ უხილავი მდინარის ხმაური – და ეს ყველაფერი, ვაგონში მყოფთათვის რაღაც არარეალურ, ლამაზ სამყაროს ქმნიდა, რომელსაც ერთხელ ნანახი სიზმრის მსგავსად, არანაირი კავშირი არ ჰქონდა რეალური სამყაროს დიდ ტკივილებთან ისევე, როგორც – ხალხმრავალი გზის კიდესთან ამოსულ მარტოხელა ყაყაჩოს.

ღამის მატარებლები დღისას არ ჰგვანან, სადგურში მოულოდნელად ჩნდებიან, როგორც უდაბნოს ბაქანზე არსაიდან მოსული მატარებლები, რომლებიც თითქოს არც კი ფიქრობენ გაჩერებას, თითქოს ბაქნის არსებობა საჭირო არც იყოს, მაგრამ დათქმულ დროს, მიმოსვლის განრიგის ფხიზელი ხელი მათ დედამიწის ელექტროქსელიდან რთავს და ფოლადის რელსებზე აჭედებს. რომელიღაც ეზოში ძაღლი ჰყეფს – „თქვენი მოსვლა დავინახეთ!“ მოხუცი ხველებისას თვალებს ხუჭავს და ცახცახებს, სახურავიდან აყრილ თუნუქის ფურცლებს ქარი ათრევს და ერთმანეთს ახეთქებს, მატარებლის გრუხუნში მიყუჩებული მდინარე დინებას ჩუმი ჩხრიალით აგრძელებს და მომაკვდავი მასის არსებობით სადგურის უდაბურობა უფრო მეტად მკაცრდება.

ღამის მატარებლები თითქოს უნებლიედ მოძრაობენ, აკვანივით ირწევიან, გადამწყვეტ სიჩქარეს კრეფენ და წითელი შუქებით ღამის წყვდიადში იკარგებიან. ძაღლი ნაძალადევად ჰყეფს, ქარი სახურავის თუნუქის ფურცლებს აფრიალებს და ერთმანეთს ახეთქებს, მდინარე, საუკუნეთა უხმაურო სიღრმიდან, კვლავ ყრუდ ჩხრიალებს, უქმად დარჩენილი ლიანდაგის ხაზებიდან ნელთბილი სევდა უბერავს და არუსის თვალებს ავსებს.

დღის მატარებლები ღამისას არ ჰგვანან, გამგზავრების სურვილს არ აღძრავენ, თავიანთი წასვლით მიტოვებულის განცდას არ ტოვებენ, მოდიან და მიდიან ყოველდღიურ აუცილებლობასავით... დღის განმავლობაში, ვაგონებიდან დაუდევრად ჩაცმული მამაკაცები შინაურულად ჩამორბიან და არუსისგან ისეთ რამეებს ითხოვენ, რაც რკინიგზის გაყვანის დღიდან სადგურში არასდროს ჰქონიათ. არუსი მათ ხუთ და სამოციან ძეხვს, ლიმონათს, ტკბილ კვერსა და ზოგჯერ ბოთლის ლუდსაც სთავაზობს, თუ წვიმების სეზონი არ არის და ლუდის ქარხანა ნიაღვარს არ წაუღია.

მამაკაცი მგზავრები უმეტესწილად ნასვამები, შეგულიანებულები ან აღგზნებულები არიან და ძირითადად, თავაშვებულად იქცევიან, ხოლო ზღვისპირა ქალაქების მატარებლებიდან, ისინი ხომ ნახევრადშიშვლები ჩამოდიან. წყლის უნახავები – ფეხშიშველები დადიან. ნავარჯიშევი და დაკუნთული აღნაგობის მქონენი, ზღვაზე, სანაპიროს ქალების მოსახიბლად მიდიან, ხოლო კუნთების არმქონეებს თან მთელი შეკვრა ფული მიაქვთ, რომ ზღვისპირა ფუნდუკ-რესტორნებში სატყუარა ჩააგდონ... ისინი, ჯერ კიდევ გზიდან ხედავენ გრძელფეხება, ქერა ქალების გუნდებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროსკენ ცურვით მოემართებიან, სადაც სამხრეთის ზღვა, მზე და სამხრეთელ მამაკაცთა საზაფხულო შეკრება ელოდებათ. წელმაგარი, ხელგაშლილი, ჯიშიანი მამაკაცებით გადავსებული ვაგონები ზღვისკენ ისე მისრიალებენ, თითქოს ფრონტისკენ კავალერიის ცხენებს მიერეკებოდნენ, რომლებიც ზღვის უკიდეგანობაში გაჭრის სიშმაგითა და ქერა სტიქიის მოლოდინით შეპყრობილნი, ფლოქვებს მოუსვენრად სცემენ.

... მამაკაცები, როგორც კი ფული გამოელევათ, მაშინვე დაბრუნდებიან – თუნდაც ერთი კვირის შემდეგ, რადგან უფულო მამაკაცი, ერთ დღესაც ვერ იცხოვრებს სხვისი ქალის გვერდით. დაბრუნდებიან გარუჯული კანითა და ზღვის მარილიან წყალში ნაჩქარევად დამუშავებულნი, ზღვის გარეშე ცხოვრების ვაჟკაცური მზადყოფნითა და კავკასიის რკინიგზის სადგურების გავლისას, ზღვიდან დაშორების პარალელურად, ფასდაკარგული თავიანთი ბანჯგვლიანი მხრების შემყურენი იფიქრებენ, რომ სამხრეთელი გოგონები ძალიან წუნიები და ჭირვეულები არიან, „ჩორტ პაბერი!..“ ხოლო სომხეთში შემოსვლისას, ან იქნებ სწორედ არუსის თვალებში ჩახედვისას იფიქრებენ, რომ სომეხი ქალები, აჰ..., უზომოდ ნაღვლიანნი და ძალიან ტანდაბალნი არიან.

– მაგრამ თვალები!.. ლამაზი თვალები... მათი ბადალი არსად არის!..

და ასე მიაგებენ ლამაზ თვალებს საკადრისს, ლამაზ თვალებში ჩამოირეცხავენ ზღვის მარილსა და სანაპიროს ჭუჭყს, ბედს შეურიგდებიან და მომავალ ზაფხულამდე თავს იმით ინუგეშებენ, რომ არც ისე უაზროა ცხოვრება ზღვისა და სანაპიროს ქალების გარეშე.

უქმროდ, მარტოდ მცხოვრები ქალი ის გასასვლელია, რომლითაც ოჯახური ცხოვრების ყოველდღიური კატასტროფით პანიკამოცული მამაკაცები გარეთ გარბიან – არუსი მათთვის ხსნის კარი იყო. ყოველ შემთხვევაში, გარშემომყოფი მამაკაცებისთვის, იგი ყველაზე მახლობელი, ცდუნების კარი იყო, რომლის ზღურბლთან მომლოცველთა ნაკლებობა არ იგრძნობოდა. არ იგრძნობოდა იმიტომ, რომ არუსი გულქვა არ იყო და როდესაც უარს ამბობდა, მაამებლად პატიობდა კიდეც უსიტყვო მედუქნესავით – „თქვენ რაც გსურთ, დღეს არ გვაქვს, ხვალ მობრძანდით“. ისინიც მოდიოდნენ ხვალ, ზეგ, წლების მერე... და მისი არჩევანი დაუძრახავი იყო. ის, იმ სოფლელ ქალს არ ჰგავდა, რომელიც ბაზარზე საქონლის გატანის დროს, მყიდველს სახეში არ უყურებს – ოღონდ კი, როგორმე ძვირად გაყიდოს, ალბათ, ამიტომაც მარტო დარჩა, როგორც უდაბნოში, კენტი საზამთროს იმედზე მყოფი მწყურვალე, რომელმაც ჯერ საზამთროს გული შეჭამა, მერე დარჩენილი წითელი გამოღრღნა და ბოლოს – ქერქზე გადავიდა... და მაინც, მისი არჩევანი დაუძრახავი იყო.

სხვა რა უნდოდა გოგოს? – სახლი, მოსიყვარულე მეუღლე, ერთი-მეორეს ტანსაცმელში გაზრდილი და ერთმანეთის მხარში მდგომი ბავშვები, ცოტაც იღბალი ოჯახში... და ეს წამი, როდესაც თითქოს დადგა, ის თავის ოცნებას გაჰყვა.

გაბედული იყო ბიჭი, გაბედული და ლამაზი. სოფელში სატვირთო მანქანას ისე დააქროლებდა, როგორც უნაგირზე გაზრდილი მხედარი – სურვილისამებრ ლაგმავდა, უბიძგებდა, ათამაშებდა და ისღა დარჩენოდა, რომ მანქანით ხეზე ასულიყო... მისი სიცილი ულაყის ჭიხვინს ჰგავდა.

დასასრული მე-15 გვერდზე

კონდიციონერს საღებავი შეცვლის



სწავლულებმა პერდიუს უნივერსიტეტიდან, ულტრათეთრი საღებავი შექმნეს, რომელიც მზის სხივებს 98.1%-ით ირეკლავს და კონდიციონერის მსგავსად, გამაგრილებელი ეფექტი აქვს. ცნობილია, რომ ამჟამად, გაყიდვაში არსებული თბოამრეკლი საღებავები, 80-90%-ით ირეკლავენ მზის სხივებს. ახალ საღებავს გამაგრილებელი თვისებები, ბარიუმის სულფატის ნაწილაკების წყალობით აქვს – ამ ნაერთს იყენებენ თეთრ ფოტოქაღალდსა და კოსმეტიკაში. სპეციალისტებმა ნაწილაკების ზომა შეცვალეს და ყოველი მათგანის მიერ, შუქის არეკვლის გაკონტროლება შეძლეს. საღებავი ღია ცის ქვეშ გამოსცადეს. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ის ღამით ტემპერატურას 10.5 გრადუსით აგრილებს, დღისით კი – 8 გრადუსით.

მატრასებს პირბადეებისგან ამზადებდნენ

ინდოეთში, მაჰარაშტრას შტატში, პოლიციამ გამოაშკარავა ფაბრიკა, რომელიც ნახმარი პირბადეებისგან მატრასებს კერავდა. იმ დროს, როცა ამ რეგიონში, კორონავირუსით დაავადების მაჩვენებელი სულ უფრო იზრდება, ქალაქ ჯალგაონაში მდებარე ფაბრიკაში, ბამბისა და სხვა შესაფერისი მასალის ნაცვლად, მატრასებს გამოყენებული, გადაყრილი ნიღბებით ტენიდნენ. მათი ნახელავი სამართალდამცავებმა დაწვეს, ფაბრიკის მფლობელის წინააღმდეგ კი საქმე აღძრეს. პანდემიის გამო, ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა პირბადეების წარმოება და შესაბამისად, გაიზარდა ნარჩენების რაოდენობაც. არაკეთილსინდისიერმა მწარმოებელმა კი მისი ამ გზით შემცირება გადაწყვიტა.

ART-ვერსია

მამაკაცების ტყვე

მე-14 გვერდიდან

წელმაგარი და ტანმაღალი იყო, შუბლის სიგანეზე ღრმა ნაჭრილობევი გასდევდა და პირდაპირ გოგოს გულში იჭრებოდა... ამ ტიპის მამაკაცები ბუნებრივი სიკვდილით არ კვდებიან. ასეთი მამაკაცები ასაკოვან ქალებს მჩატედ, გასართობად უყვართ, მათი სიყვარულით ბედნიერდებიან, სიყვარულს იღბლად მიიწერენ, სარგებლობენ და უფრთხილდებიან, მაგრამ ერთ დღესაც ხელიდან უშვებენ, რომ გოგონებმა მათთან მტანჯველი სიყვარული გააბან, რომ მათ კუბოებს პროცესიის ბოლოში შეუმჩნევლად გაჰყვნენ და საფლავზე ერთი მუჭა მიწის მიყრის ღირსნი არ გახადონ, რომ ისინი თავიანთ გულებში დამარხონ და საფლავის სუნი დაგვიანებული ქორწინების სარეცელზე გაიყოლონ.

გოგომ ეს არ იცოდა და რომ სცოდნოდა, მაინც გაჰყვებოდა. წავიდა კიდეც სახლიდან.

თაფლობის თვე გავიდა, თვეებიც გავიდა, ეგონა, რომ წინ დათაფლული ცხოვრება კიდევ იყო. რა თქმა უნდა, ყოველდღიური საზრუნავიც იყო, თუმცა ცოლ-ქმრულ სარეცელს იყოფდნენ და სიყვარულს ფრთას ასხამდნენ... წინ დათაფლული ცხოვრება ჯერ კიდევ იყო, მაგრამ სხვა თაობა მოდიოდა, ქალთა რაღაც სხვა მოდგმა, ლეღვის ხის ფოთოლჩაცმული, რომლებიც მამაკაცებს მზერით შამფურზე აგებდნენ და თავისი ფასიც იცოდნენ. ამ განსაცდელისგან ის დაუცველი აღმოჩნდა. მისი შენარჩუნება შეუძლებელი იყო, ან როგორ შეინარჩუნებდა მას, ვინც გოგონებს მტანჯველი სიყვარულით უყვარდებათ და ვინც, ასაკში შესულ ქალბატონებს მჩატედ და გასართობად უნდათ.

მეუღლე თანდათანობით წაიყვანეს. დღე იყო, სახლში შუაღამისას მოდიოდა, ღამე იყო და სახლში საერთოდ აღარ მოდიოდა, შემდეგ შორეული რეისები დაიწყო და ერთ დილასაც, ვიღაც ქალთან ერთად, სატვირთოს კაბინაში, დალეწილი იპოვეს. უპატიო სიკვდილით მოკვდა. ერთი ფასი ჰქონდა შავების ჩაცმას ან არჩაცმას, დარჩენას თუ მამისეულ სახლში დაბრუნებას, საიდანაც, ერთ დროს, თავისი ნებით წამოვიდა... უპატივცემულო ქვრივობაში დარჩა, დარდით, გულისტკივილითა და შუბლზე დაღით.

ახალგაზრდა ქვრივს მარტო არ ტოვებენ. მამაკაცებმაც მარტო არ დატოვეს. მამაკაცთა მოდგმის მიმართ ზიზღით განმსჭვალული ქვრივიდან, დროებით თავი შორს დაიჭირეს, შორიდან, დახვეწილად, ბინის გადაცვლის საკითხი მოუგვარეს, რამდენიმე კვირის შემდეგ, ახალი თანამდებობა მისცეს, დღითი-დღე, გლოვიდან ფრთხილად გამოიყვანეს, თითო-თითო ძაფებით, ლმობიერების სათუთი აბლაბუდა მოუქსოვეს... და, როდესაც გულისხეთქვამდე მადლიერებით აღსავსე, გულისრევამდე შურისძიებით მთვრალი გონზე მოვიდა – მამაკაცების ტყვე აღმოჩნდა.

და ამის მერე, უკვე იმედდაკარგულმა, უკვე გულგრილმა, ცხოვრება გაატარა ისე, როგორც მათ სურდათ, უხეში ვნებების შტორმში მოყოლილი გემივით, ხან მარჯვნიდან შეახეთქეს, ხან – მარცხნიდან, შემდეგ თავთხელში ჩაეფლო, სიყვარულის მსგავსი ღამეების მონაცვლეობით, დღეები მოვიდნენ და წავიდნენ...

... სასადილოდან სადგურის ბაქანი რამდენიმე ნაბიჯზე იყო. დღეში, ერთი მიმართულებით, ოთხი სამგზავრო მატარებელი დადიოდა და ოთხიც – საპირისპიროდ. შავი დღისთვის მცირეოდენი ფული ჰქონდა გადანახული, თან წაიღებდა და ყველაფერ დანარჩენს მიაფურთხებდა – ცოტა ფული, ერთი ჩემოდანი და თავისი ახალგაზრდობა საკმარისი იქნებოდა... მხოლოდ თავისი ახალგაზრდობაც კი საკმარისი იქნებოდა, რომ ახალი ცხოვრება დაეწყო, მაგრამ...

ახლა უკვე გვიანი იყო. დიდი ხანია, გვიანი იყო.

გასაუბრებაზე მისულებს ფულს უხდიან

აშშ-ს ფლორიდის შტატში, „მაკდონალდსი“ 50 დოლარს უხდის მსურველებს, თუკი ისინი გასაუბრებაზე მივლენ. ამის მიუხედავად, კომპანია თანამშრომლების დეფიციტს ჯერ კიდევ განიცდის. ბლეიკ კასპერი, ამ რეგიონში, „მაკდონალდსის“ ბრენდის 60 რესტორანს ფლობს. გასაუბრებაზე მისული კანდიდატებისთვის თანხის გადახდა მისი მენეჯერების იდეა იყო. ეს მაშ შემდეგ მოიფიქრეს, რაც ბოსმა დაავალა, ყველაფერი ეღონათ ახალი თანამშრომლების მოსაძებნად. კასპერის თქმით, მიუხედავად 50-დოლარიანი აქციისა, სამუშაოს მაძიებელთა მოზიდვა მაინც უჭირთ. ეს პრობლემა მარტო „მაკდონალდსს“ არ აქვს, დამოუკიდებელი ბიზნესის ფედერაციის მიერ, მარტში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მცირე ბიზნესის მფლობელთა 42%-მა განაცხადა, რომ ვაკანსიები აქვთ, მაგრამ თანამშროლებს ვერ შოულობენ.

ცხოველის მოძებნაში აპლიკაცია დაგეხმარებათ

ყოველწლიურად, აშშ-ში, 10 მილიონი შინაური ცხოველი იღუპება. ამ პრობლემის მოგვარებაში საკუთარი წვლილის შესატანად, ბრენდმა Iams, iნოვაციური მობილური აპლიკაცია NoseID აამოქმედა. აპლიკაცია ძაღლის ცხვირის სკანირების საშუალებას იძლევა და დაკარგულ ოთხფეხას უნიკალური ანაბეჭდის წყალობით პოულობს. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ თითოეული ძაღლის ცხვირი განუმეორებელია, მიღებული გამოსახულება კი ადამიანის თითის ანაბეჭდივით არის. ძაღლების პატრონებს ცხოველის პროფილის შექმნას სთავაზობენ – მითითებული უნდა იყოს გარეგნული პარამეტრები, ცხოველის განსხვავებული ნიშნები, რათა დაასკანერონ მისი ცხვირი. ძაღლის დაკარგვის შემთხვევაში, ინფორმაციას მიიღებს აპლიკაციის ყველა მომხმარებელი. ჯერჯერობით, სიახლე ხელმისაწვდომია მხოლოდ ქალაქ ნეშვილსა და მის შემოგარენში, თუმცა ნელ-ნელა, აპლიკაციის არეალი გაფართოვდება და აშშ-ს სხვა ქალაქებსაც მოიცავს.

„სამლოცველო კაფსულები“ ვირუსისგან დაგიცავთ?

სამხრეთ კორეაში მდებარე ბუდისტურმა ტაძარმა თეგენსამ, გაგანია პანდემიისას, მორწმუნეთა უსაფრთხოების დაცვის მეთოდს მიაგნო. ყოველკვირეული რელიგიური ცერემონიები ღია ცის ქვეშ ტარდება, ლოცვას კი სპეციალურ, გამჭვირვალე კარვებში სთავაზობენ. ასე დისტანციასაც იცავენ და სხვა ადამიანებთან კონტაქტსაც მინიმუმამდე ამცირებენ. ყოველ ადამიანს საკუთარი "სამლოცველო კაფსულა" აქვს, რომელზეც მის სახელს აწერენ. მიუხედავად იმისა, რომ კოვიდინფექციის გავრცელების ტემპები ქვეყანაში შემცირდა, ყოველდღიურად, მაინც 400-700 ახალი შეემთხვევა ვლინდება. ტაძრის წინამძღვრის თქმით, მათ 130-მდე გამჭვირვალე კაფსულა შეიძინეს, რომლებიც მორწმუნეებს, როგორც სხვებთან კონტაქტისგან, ასევე, ცივი ქარისგანაც დაიცავს.

მოწევას საერთოდ აკრძალავენ



ახალი ზელანდიის ხელისუფლება განიხილავს ინიციატივას, რათა 2025 წლისთვის, ქვეყანაში საერთოდ აიკრძალოს მოწევა. მთავრობა აპირებს, ნელ-ნელა ასწიოს მწეველთა დასაშვები ასაკი და თამბაქოს ნაწარმის ყიდვა სრულიად შეუძლებელი გახადოს მათთვის, რომლებიც 2004 წლის შემდეგ დაიბადნენ. გარდა ამისა, განიხილავენ ნიკოტინის შემცველობის დონის, ფილტრების აკრძალვისა და სიგარეტის გაყიდვის ადგილების შემცირების საკითხებსაც. ყოველწლიურად, ახალი ზელანდიის 4 500 მოქალაქე იღუპება მოწევის გამო. „ჩვენი მიზანია, 2025 წლისთვის, სრულად გავთავისუფლდეთ თამბაქოს ნაწარმისგან“, – აცხადებს ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრი. სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი დონე კი მაორის ტომებში აღინიშნება.

ტვინის სიჯანსაღისთვის ჭარხალი მიირთვით

ბრიტანელმა სწავლულებმა ექსეტერის უნივერსიტეტიდან, ჯანმრთელობის სასარგებლო კიდევ ერთი პროდუქტი გამოიკვლიეს. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ თუ ადამიანი რეგულარულად მიირთმევს ჭარხალს, აქტიურდება პირის ღრუს ბაქტერიების მოქმედება, რაც დადებით გავლენას ახდენს სისხლძარღვებისა და ტვინის სიჯანსაღეზე. ეს კი ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელად დაბერებას. ჭარხალი მდიდარია უჯრედისით, რაც იწვევს შაქრის მალევე შეწოვას. ასევე, ეს პროდუქტი ფოლიუმის მჟავის, ცე-ვიტამინის, კალიუმისა და ფოსფორის წყაროა, შეიცავს ბე-ჯგუფის ვიტამინებს, მინერალებს, რკინასა და იოდს. ჭარხალი მდიდარია ანტიოქსიდანტებითაც, მისი რეგულარული მოხმარება ხელს უწყობს თმის, კანისა და ფრჩხილების სიჯანსაღეს. უჯრედისის დიდი შემცველობის გამო კი, ჭარხალი უებარი წამალია შეკრულობის დროს.

გაკვეთილების გვიან დაწყება უმჯობესია

ამერიკელი სწავლულები, ორი წლის განმავლობაში, სკოლების 28 ათას მოსწავლეს აკვირდებოდნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გაკვეთილების შედარებით გვიან დაწყება უფრო სასარგებლოა მოზარდებისთვის. ისინი დილის ძილით კმაყოფილდებიან და შედეგად, დღის ძილიანობის კლინიკური გამოვლინებებიც მცირდება. ლაპარაკია საშუალო და მაღალი კლასის, 11-დან 18 წლამდე მოსწავლეებზე. გაკვეთილების დაწყების ოპტიმალურ დროდ, სპეციალისტები 08.30 საათს მიიჩნევენ. აშშ-ის სკოლების 80%-ში, სწავლა ადრე იწყება.

კბილების აღდგენა შესაძლებელი იქნება

იაპონელი სწავლულების წყალობით, უახლოეს მომავალში, დაზიანებული კბილის ქსოვილის აღდგენა შესაძლებელი იქნება. ცნობილია, რომ კბილი ადამიანის ერთადერთი ორგანოა, რომელსაც რეგენერაციის უნარი არ გააჩნია, თუმცა ახალი აღმოჩენის შემდეგ, შესაძლოა, ეს მტკიცებულება შეიცვალოს. კიოტოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა შექმნეს პრეპარატი, რომელმაც მღრღნელებში დაზიანებული კბილების აღდგენა და დაკარგული კბილების თავიდან გაზრდა მოახერხა. ეს კი გენ USAG-1-ის საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენით გახდა შესაძლებელი. თაგვებში ამ ანტისხეულების მხოლოდ ერთმა ინექციამ შეძლო დაკარგული კბილების სრულად აღდგენა, თუმცა ახალი პრეპარატის ადამიანებზე გამოყენებამდე ჯერ დიდი გზაა – კლინიკურ ცდებამდე, ანტისხეულების კვლევები ღორებსა და ძაღლებზე ჩატარდება.

დაკარგულ ნივთებს გაპოვნინებთ

Apple-მა, ცოტა ხნის წინ, ახალი მოწყობილობა – AirTag-ი წარადგინა, რომელიც Find My აპლიკაციის საშუალებით, დაკარგულ ნივთებს გაპოვნინებთ. მოწყობილობა მრგვალი ფორმისაა, მსუბუქია და უჟანგავი ფოლადითაა დამზადებული, მდგრადია წყლისა და მტვრის მიმართ. მასში ჩამონტაჟებული დინამიკი ხმებს გამოსცემს და ეხმარება AirTag-ს, დაადგინოს დაკარგული ნივთის ადგილმდებარეობა. მოხმარება მეტად მარტივია – მიუახლოვეთ AirTag-ი iPhone-ს და მოწყობილობები ერთმანეთს დაუკავშირდება. სიახლის შეძენა თვის ბოლოდან უკვე შესაძლებელი იქნება, ფასი კი 29-დან 99 დოლარამდე მერყეობს.

სირაქლემამ ძვირფასი ბეჭედი გადაყლაპა

„მწვანე კონტინენტზე“, სიდნეის ზოოპარკში, სირაქლემა ემუმ დამთვალიერებელს ყურიდან ძვირადღირებული საყურე მოგლიჯა. სამკაული Tiffany & Co-ის ბრენდისაა, რომელიც დაახლოებით, 550 ავსტრალიური დოლარი ღირს. ზოოპარკის სტუმარმა მანდილოსანმა, სირაქლემასთან ფოტოს გადაღება გადაწყვიტა. მისკენ დაიხარა თუ არა, მოულოდნელად, ემუმ ყურიდან მოაგლიჯა სამკაული. ქალმა ინციდენტის შესახებ ზოოპარკის დირექციას აცნობა – მათ დანაკარგის მისაღებად, ერთი კვირის შემდეგ დაბრუნება ურჩიეს. თუმცა ლოდინი უშედეგო გამოდგა: ემუს ექსკრემენტებში საყურე ვერ იპოვეს, ფრინველმა ის მოინელა. ცნობილია, რომ ველურ ბუნებაში, სირაქლემები ხშირად ყლაპავენ ქვებსა და სხვა მყარ საგნებს, თუმცა ეს მათ ზიანს არ აყენებს.

ᲓᲣᲑᲐᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗ „ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲡ“ ᲒᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში, მაღალსიჩქარიანი საბაგირო გზის გაკეთებას გეგმავენ. საბაგიროს მოძრაობის სიჩქარე, საათში 150 კილომეტრი იქნება. ამ სატრანსპორტო საშუალებას შეეძლება, ერთ საათში, 8 400 მგზავრი გატაროს. საბაგირო ტრასაზე 21 გაჩერება იქნება, რომელიც ქალაქის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან“ წერტილებს ერთმანეთთან დააკავშირებს. აღსანიშნავია, რომ საბაგიროს ვაგონები 5-ჯერ ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ, ვიდრე ელექტრომობილები.

ᲰᲐᲔᲠᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲔᲜ

სპეციალისტები არიზონის უნივერსიტეტიდან და კომპანია Silicon Kingdom Holdings-ი აპირებენ, ჰაერის გაწმენდის ტექნოლოგიაში ახალი მეთოდი – "მექანიკური ხეები" დანერგონ. მოწყობილობა, რომელიც უნივერსიტეტის სწავლულებმა შექმნეს, ჰაერის ნაკადებს ფილტრავს – იჭერს ნახშირორჟანგის მოლეკულებს და მას მეორეადი გამოყენებისთვის ინახავს. მავნე გამონაბოლქვთან მებრძოლი, აქამდე არსებული მეთოდებისგან განსხვავებით, ახალი მექანიზმი ნახშირორჟანგს, ჰაერის შეწოვის გარეშე იჭერს ანუ არ იყენებს ენერგიას. ავტორების თქმით, ეს ყველაზე იაფი ტექნოლოგიაა – ტონა ნახშირორჟანგის სამართავად, მას 100 დოლარზე ნაკლები თანხა სჭირდება. ახალ მთოდს კლასტერების (რამდენიმე ხისგან შემდგარი ჯგუფი) საშუალებით დანერგავენ. ერთი კლასტერი, რომელიც 12 მექანიკური ხისგან შედგება, დღე-ღამეში, 12 ტონა ნახშირორჟანგის დაჭერას შეძლებს.

ციტრუსისგან ეკოსათვალეს აწარმოებენ

ესპანელმა სწავლულებმა ხილის ნარჩენებისგან პლასტმასის მიღების მეთოდი შეიმუშავეს, რომელსაც ეკოლოგიურად სუფთა სათვალეების წარმოებისთვის გამოიყენებენ. ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები, სამი წლის განმავლობაში მუშაობდნენ ამ საკითხზე. მათი განცხადებით, ეკოლოგიურად სუფთა პლასტმასი, ციტრუსების ნარჩენების ფერმენტაციის შედეგად მიიღება. სწავლულთა გათვლებით, მიღებული პროდუქტი შესაფუთ და საავტომობილო ინდუსტრიაშიც შეიძლება გამოიყენონ. ესპანელი მეცნიერების კვლევები იმ დიდი პროექტის ნაწილია, რომლის მიზანიც ბიომასალის წარმოების, მომზადებისა და გადამუშავების პროცესის გაუმჯობესებაა.

ლუდი ვირუსებისგან დაგიცავთ

ქარვისფერი სასმელის მცირე რაოდენობა გულის დაავადებების რისკს ამცირებს, – ასეთ განცხადებას აკეთებენ იტალიელი სწავლულები. მათ 15 000-მდე ადამიანის მონაცემები გააანალიზეს და დაადგინეს, რომ ყოველდღიურად, ორი პატარა ქილა ლუდის დალევა არა მხოლოდ არ ვნებს ჯანმრთელობას, არამედ, გულისა და სისხლძარღვების დაავადებების განვითარებას 25%-ით ამცირებს. ალკოჰოლი და ლუდის სხვა კომპონენტები ორგანიზმზე პოზიტიურ გავლენას ახდენენ. სუსტი სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათ, დღეში ერთი ქილა თამამად მიირთვან, ხოლო მამაკაცებმა – ორი ქილა ისე, რომ არაფერი ავნონ საკუთარ ჯანმრთელობას. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც ალკოჰოლის მოხმარებიდან გამომდინარე, სიმსივნის განვითარების მაღალი რისკი აქვთ. დანარჩენებს შეუძლიათ, ლუდის დადებითი ეფექტი შეიგრძნონ, რომელიც მდიდარია ფენოლური შენაერთებით. ეს ნაერთები ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებებით გამოირჩევიან. სწავლულთა თეორიებით, ქარვისფერ სასმელს სხეულის ვირუსებისგან დაცვაც შეუძლია.

ყველაზე მწარე ღვინო შექმნეს

ესპანურმა კომპანიამ Gik Live, რომელიც თავისი უჩვეულო ღვინოებითაა ცნობილი, მომხმარებლებს მორიგი ექსკლუზიური სიახლე წარუდგინა. სასმელი, რომელსაც Bastarde უწოდეს, მსოფლიოში ყველაზე მწარე ღვინოა. ის Grenache-ს ჯიშის წითელი ყურძნისა და "ჰაბანეროს" ჯიშის წიწაკა ჩილისგანაა დამზადებული. თითო ბოთლ ღვინოს, დახლოებით, 125 გრამი წიწაკა ემატება. მწარმოებლების თქმით, მათი მიზანი ისეთი ღვინის შექმნა იყო, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტად გამბედავი ადამიანები გასინჯავდნენ. სასმელი შავი ფერის ბოთლებშია ჩამოსხმული და ონლაინ-მაღაზიებში იყიდება. მისი ფასი 11-დან 13 ევრომდეა. კომპანია ამ ღვინის ექსპორტს ისეთ ქვეყნებში აპირებს, სადაც პოპულარულია მწარე კერძები, მაგალითად, ინდოეთში, კორეაში, ვიეტნამსა და მექსიკაში.

სწავლის საფასურს პლასტიკით იხდიან

ინდოეთში, ასამის შტატში, მეხუთე წელია ფუნქციონირებს სკოლა, რომელიც სწავლის საფასურად ფულს კი არა, პლასტმასის ნარჩენებს იღებს გადასამუშავებლად. ამ უჩვეულო სკოლაზე, „ფორბსიც“ წერდა. 2016 წელს, ეს სასწავლო დაწესებულება პარმიტა სარმა და მაზინ მუხტარმა, ძირითადად, ღარიბი ოჯახებისთვის გახსნეს და თანაც ამ გზით, საშინლად დანაგვიანებული დასახლების გაწმენდის პრობლემის მოგვარებას შეეცადნენ. ადგილობრივები პლასტიკატს აგროვებდნენ და ზამთარში მას გასათბობად იყენებდნენ, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა ზიანს აყენებდნენ საკუთარ ჯანმრთელობას და გარემოსაც. სკოლის დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს, რომ ფულის ნაცვლად, საწვლის ღირებულების სახისთ, პლასტიკატს ჩაიბარებდნენ და ამის შემდეგ, გადასამუშავებლად გააგზავნიდნენ. ამგვარად, სკოლა ადგილობრივებში განათლების დონესაც აუმჯობესებს და ნაგავთან დაგავშირებულ პრობლემასაც აგვარებს.

ნატურალურ ყავას მოლეკულური ჩაანაცვლებს

შესაძლოა, სულ მალე, ნატურალური ყავა სინთეტიკურმა, მოლეკულურმა ჩაანაცვლოს. უკვე დიდი ხანია, რაც ამ უნიკალურ პროდუქტზე ამერიკელი სტარტაპერები მუშაობენ, სიეტლიდან. მათ ოთხ ათეულზე მეტი ნაერთის იდენტიფიცირება შეძლეს, რაც ნამდვილი ყავის შემადგენლობაშია და შექმნეს გემოთი, ფერით, არომატითა და ორგანიზმზე ზემოქმედებით, აბსოლუტურად ანალოგიური მოლეკულები. როგორც სწავლულები ამბობენ, რძისა და ხორცის შემცვლელებისგან განსხვავებით, მათი პროდუქტი – სასარგებლო თვისებებით, არაფრით ჩამოუვარდება "წინაპარს". ამასთან, მისი წარმოებაც არ იქნება დიდად ხარჯიანი, რადგან ყავის მოლეკულური ანალოგის კომპონენტები ძვირი არ ღირს. გამოყვანა და გადამუშავებაც არ საჭიროებს დიდ შრომას. მთავარი კი ის არის, რომ ასეთი ყავა არასოდეს გამოილევა, მისი მარაგები არასოდეს ამოიწურება. მოლეკულური ყავა მხოლოდ მარცვლებში იქნება, რადგან სწორედ მას აფასებენ ნამდვილი ყავამანები. როდის გამოჩნდება ყავის ანალოგი ბაზარზე, ჯერჯერობით, უცნობია.

ხელების სისუფთავეს მოწყობილობა შეამოწმებს

ახალი ტექნოლოგია, რომელიც ამერიკელმა სწავლულებმა შექმნეს, რამდენიმე წამში განსაზღვრავს, სუფთა გვაქვს თუ არა ხელები. მოწყობილობა, რომლის ზომაც ჩვეულებრივი საშრობისას არ აღემატება, უმალ პოულობს სახიფათო მიკრობებს, ციფრულ მონიტორზე კი ნათლად ჩნდება ინფორმაცია, კონკრეტულად რა ადგილზე დარჩა მიკროორგანიზმები. სპეციალისტების თქმით, ახალი ტექნოლოგია მალე დაინერგება რესტორნებსა და საავადმყოფოებში, შემდგომში კი ბევრი ადამიანი მას, ალბათ, სახლებშიც დაამონტაჟებს, რადგან დღეს, პანდემიის პირობებში, ხელების სისუფთავეზეც დიდწილადაა დამოკიდებული ინფექციის გავრცელება. სპეციალისტები გვირჩევენ, ხელები სულ ცოტა, 30 წამის განმავლობაში მაინც დავიბანოთ, რათა საკვებთან ერთად, ორგანიზმში საშიში ბაქტერიები და მიკრობებიც არ მოხვდნენ.

სინთეტიკური ხორცის სოსისებს გაყიდიან

ნიდერლანდების მაასტრიხტის უნივერსიტეტის მეცნიერთა განცხადებით, მომავალი წლიდან, საკვებად სრულიად ვარგისი სინთეტიკური ხორცის სოსისების წარმოება დაიწყება. სწავლულების ამ ჯგუფმა, ლაბორატორიულ პირობებში, ხელოვნურად გამოიყვანა „კუნთები“. მათი თქმით, ხელოვნური ხორცის წარმოება ადამიანთა ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, როგორც ოდესღაც, სამონადირეო ცხოვრების წესის მეცხოველეობით შეცვლა იყო. სინთეტიკური ხორცის მიღების ტექნოლოგია კი ასეთია: ღორის ღეროვან უჯრედებს იღებენ და მას ცხენის ემბრიონის სისხლის შრატით „კვებავენ“. ამ ხერხით, სწავლულებმა შეძლეს კუნთების ფირფიტების გამოყვანა, რომელიც ნამდვილ ხორცს დაამსგავსეს. მკვლევარები ახლა ძროხის ღეროვან უჯრედებზე აპირებენ მუშაობას და იმედი აქვთ, რომ „საქონლის ხორცს“ ჰამბურგრებისთვის შექმნიან. შვედი მეცნიერები აცხადებენ, რომ ადამიანებს შეუძლიათ, თავისუფლად მიირთვან ამ "იშვიათი ცხოველის" პროდუქტი. სწავლულები ცდილობენ, „ხორცი“ უსაფრთხო იყოს, ამიტომ უჯრედების უსაფრთხო მკვებავის გამომუშავებას, ლურჯ-მწვანე წყალმცენარების საფუძველზე აპირებენ.

შუქზე ძილი ასუქებს?

ამერიკელი სწავლულები ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტიდან, აცხადებენ, რომ ხელოვნური განათების თანხლებით ძილი, წონაში მატებას უწყობს ხელს. მკვლევარები ამ საკითხზე ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. მათ კვლევებში, 35-დან 74 წლამდე ასაკის 44 000 ქალი მონაწილეობდა. კვლევის მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ იმ მანდილოსნებმა, რომელთაც ხელოვნური განათების თანხლებით ეძინათ, 5 კილოგრამზე მეტი მოიმატეს. მათი სხეულის მასის ინდექსი კი 10%-მდე გაიზარდა. სწავლულთა თქმით, ღამით წახემსებას, ამ შემთხვევაში, წონის მატებასთან კავშირი არ ჰქონია. სპეციალისტების განმარტებით, ვისაც განათების თანხლებით სძინავს, ბიოლოგიურ საათსა და დღე და ღამის რიტმს აგდებს, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული შიმშილის გრძნობა. თუ ეს ციკლი აირევა, ორგანიზმი აქტიურად იწყებს სტრესის ჰორმონის (გლუკოკორტიკოიდების) გამომუშავებას, ნაცვლად მელატონინისა. აქედან გამომდინარე, მკვლევარები გვირჩევენ, ძილის წინ, სინათლე აუცილებლად გამოვრთოთ. მათივე თქმით, კვლევები მამაკაცების შემთხვევაშიც იგივე შედეგს მოიტანდა.

მედუზების ჯამას გვირჩევენ

კლიმატის ცვლილებების გამო, მედუზები ურიცხვი რაოდენობით მოედვნენ ოკეანეებსა და პლაჟებს და დამსვენებლების კომფორტს არღვევენ. ამასთან დაკავშირებით, იტალიელი სწავლულები პრობლემის მოგვარების ორიგინალურ მეთოდს გვთავაზობენ. მეთოდი ეკოლოგიას ზიანს არ მიაყენებს და სასარგებლოც იქნება – უბრალოდ, ეს ზღვის ცხოველები უნდა ვჭამოთ. ზოოლოგებმა აამოქმედებს პროექტი Go Jelly, რომელიც მედუზებისგან დახვეწილი კერძების შექმნას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ მედუზა სასარგებლო კვების პროდუქტია, რადგან დიდი რაოდენობით ცილასა და ომეგა-3-ს შეიცავს. ამჟამად, სპეციალისტები, ექსპერიმენტის სახით, ოკეანიდან მედუზებს აგროვებენ და მათგან, ქალაქ ლეჩეს ერთ-ერთ რესტორანში, სხვადასხვა სახის კერძების ამზადებენ. მენიუშია მოხარშული, შემწვარი და ნივრიან მარინადში ჩადებული მედუზა.

ყველაზე უბედური ასაკი გამოავლინეს

ამერიკელმა ექსპერტებმა გამოთვალეს, რა ასაკში გრძნობენ ადამიანები თავს ყველაზე უბედურად. საშუალოდ, ასეთი პერიოდი, დაახლოებით, 45 წლის ასაკში დგება და განპირობებულია ჰორმონებითა და სხეულის ბიოქიმიით და არა რაიმე "ცხოვრებისეული რთული სიტუაციებით". მაქსიმალური ბედნიერების ასაკი 18-20 წელია, მერე კი იწყება დაღმასვლა.

კვლევების თანახმად, ჩინეთში, მექსიკასა და რუსეთში, ადამიანი თავს ყველაზე უბედურად მაშინ გრძნობს, როცა 43 წელს გადააბიჯებს, განვითარებულ ქვეყნებში – 47 წლის შემდეგ, განვითარებადში კი – 48 წლის შემდეგ. როცა ადამიანი 60 წელს მიაღწევს, სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება და შემდეგ, 70 წლის ასაკში, როგორც ახალგაზრდობაში, თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს. ამ დასკვნების გასაკეთებლად, ამერიკელმა სწავლულებმა მსოფლიოს 132 ქვეყნის მონაცემები შეისწავლეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.